პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 21 (9797) | სამშაბათი, 26 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ საარჩევნო ბიულეტენთა ფორმები (1-ლი გვერდი).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში. 1954 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ (1-ლი გვერდი).

ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების საარჩევნო უბნები (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საკაჭრო ურთიერთობისათვის (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს (მე-3 გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა [illegible] (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი (მე-3 გვერდი).

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

საბჭოთა პროფკავშირები მუშათა კლასის მასობრივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი მოწოდებულია მილიონიანი მასების მთელი შემოქმედებითი ძალა, ყველა არსებული რესურსი და შესაძლებლობა გამოიყენოს ძირითადი ამოცანის — კომუნიზმის აშენების ძლევამოსილად დაგვირგვინებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს მუშათა კლასს ყველა პირობას უქმნის ამ ისტორიული მისიის წარმატებით შესრულებისათვის: საწარმოებში ინერგება ახალი, სრულყოფილი ტექნიკა, რომელიც ადამიანებს შრომას უმსუბუქებს და შრომის ნაყოფიერებას ადიდებს. დიდძალი სახელმწიფო თანხები იხარჯება შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, უსაშიშროების ტექნიკის დასანერგავად, სამრეწველო სანიტარიის გასაძლიერებლად. მარტო მეხუთე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად დაბანდებულ იქნა ხუთჯერ მეტი თანხა, ვიდრე პირველ ორ ხუთწლედში ერთად.

ადამიანთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს მიერ ასიგნებული თანხები მიზანშეწონილად რომ იქნას ათვისებული და ამასთან საწარმოთა კოლექტივებმა პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი სახელმწიფოს წინაშე, საწარმოთა ადმინისტრაციასა და ადგილობრივ პროფკავშირულ კომიტეტებს შორის ყოველწლიურად იდება სპეციალური ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებში, რომლებსაც კოლექტიურს უწოდებენ, აღნიშნულია ორმხრივი ვალდებულებები: საწარმოს ადმინისტრაციისა, რომ თავის კოლექტივს შეუქმნას ყველა პირობა მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, და თვით კოლექტივის ვალდებულება, რომ თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რათა პირნათლად გაანაღდოს სახელმწიფო დავალება.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში აჯამებენ 1953 წლისათვის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებების შედეგებს და აგროვებენ 1954 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებებში გასათვალისწინებელ წინადადებებს. ირკვევა, რომ რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების მთელ რიგ მოწინავე საწარმოთა და დაწესებულებათა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს შარშანდელ ორმხრივ ვალდებულებათა გასანაღდებლად. კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განაღდებამ უზრუნველყო საქართველოს ცემენტის ქარხნის, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების ქარხნის, თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, წითელწყაროს მტს-ის, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა სამეურნეო წარმატებები.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა როდი გვაქვს ყველგან. ზოგი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ჯეროვნად ვერ იყენებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ხელმძღვანელებმა შარშან ვერ შეძლეს შახტში შრომის მოწესრიგება, ისე ვერ მოაწყეს საქმე, რომ აღეკვეთათ მეშახტეთა და საშახტო ტექნიკის გაცდენა, რაც შახტის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი გახდა. იმ მშენებლობებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ტრესტები საქმშენი, საქართველოს ჰიდროენერგომშენი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი, და მთელ რიგ სხვა უწყებათა საწარმოებში ორმხრივი ვალდებულებები შარშან არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა. პროფკავშირული კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, რაციონალიზატორულ მუშაობას, არ უქმნიდნენ საწარმოთა კოლექტივებს ყველა პირობას გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი 1953 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემაჯამებელი შემოწმებისა და 1954 წლის ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორების უზრუნველსაყოფად.

ამოცანა ახლა ის არის, რომ 1953 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემაჯამებელ შემოწმებაში ჩავაბათ ფართო პროფკავშირული საზოგადოებრიობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვლინებულ უნდა იქნას ორმხრივ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ნამდვილი მიზეზი, სასტიკად უნდა გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება. მაგრამ არ კმარა ნაკლოვანებათა მარტო გამოვლინება, აღნიშვნა, საჭიროა მათი გამოსწორების გზის ჩვენება, მუშაობის გაჯანსაღების საშუალებებზე მითითება.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ არ გამეორდეს 1953 წელს დაშვებული შეცდომები.

საწარმოს ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ ორგანიზაციას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს და პროფკავშირულ მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ნაკისრ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებისათვის ყველაზე მეტად პასუხისმგებელი ესენი არიან. ორგანიზებულად ვუხელმძღვანელოთ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას, უზრუნველვყოთ ორმხრივ ვალდებულებათა დროულად განაღდება — ასეთია სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკების საბრძოლო ამოცანა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში

1954 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი 1954 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების, აგრეთვე 1953 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემაჯამებელი შემოწმების მიმდინარეობის შესახებ.

პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ურთიერთვალდებულებათა შესრულებისათვის წარმატებით გაწეულმა მუშაობამ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგში ხელი შეუწყო სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით განაღდებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას და მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი შედეგებია მოპოვებული რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებში, მტსებში და საბჭოთა მეურნეობებში.

მაგრამ ამასთან არიან ისეთი საწარმოები და ახალი მშენებლობანი, სადაც ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ამის შედეგად შარშან სახელმწიფო გეგმების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ზოგი შახტი და საწარმო, საქმშენის სამშენებლო ობიექტები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქსუისის ძტს-ი, ციტრუსოვანთა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა, საქართველოს ნავთობის ტრესტის ზოგი საწარმო, დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა და სხვ. ორმხრივ ვალდებულებათა ზედმიწევნითი სიზუსტით შესრულებას არ ექცეოდა საჭირო ყურადღება ისეთ საწარმოებშიც, რომლებიც სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონელს იძლევიან.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ 1954 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე და საბჭოთა მეურნეობებში დამთავრდეს იანვარსა და თებერვალში რესპუბლიკის სამანქანო-სატრაქტორო საგზურებში — 15 მარტამდე, ხოლო ტორფდამუშავების ობიექტებზე — 1954 წლის 15 აპრილამდე.

1954 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ღონისძიებანი ორმხრივი ვალდებულებების აუცილებლად შესრულებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებებისა და სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების და კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა განსახილველად მოწვეულ კონფერენციებსა და კრებებზე უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო, შეუზღუდველი გაშლა, ხოლო ხელშეკრულებებზე ხელმოწერის შემდეგ ფხიზლად აღევნონ თვალყური ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიაში

მიმდინარე წლის 25 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე დგას „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არჩევნების დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, დაადგინა ფორმები საარჩევნო დოკუმენტებისა: კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენისა (თეთრი ფერი); მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენისა (ცისფერი); ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ან ნაციონალური ოკრუგისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენისა (ვარდისფერი); ფორმა საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმისა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ; ფორმები საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმებისა და ფორმები კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევის მოწმობისა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არჩევნების დებულების 38-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, განიხილა და დაადგინა ნიმუშები საარჩევნო კომისიათა ბეჭდებისა, აგრეთვე დაადგინა ნიმუშები საარჩევნო ყუთებისა.

საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში დახმარების გაწევის მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ტექსტი წერილისა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი. ამ წერილში მოცემულია ძირითადი ამოცანები, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიების წინაშე დგას „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიის სხდომამ განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიებთან ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიებთან საოლქო საარჩევნო კომისიების კავშირის დამყარების საკითხი და სხვა საკითხები.

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართია:

ქალაქი მოსკოვი, პუშკინის ქუჩა, კავშირების სახლი, მე-8 კარი, ტელეფონი № ბ, 9-63-74.

ცნობა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიისა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისია მოთავსებულია ქალაქ თბილისში, შრომის სასახლე, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 19, მეორე სართული, ოთახები №№ 87, 88 და 89. ტელეფონი № 3-88-70.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია მუშაობას შეუდგა

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია მუშაობას შეუდგა.

25 იანვარს გაიმართა საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარსული არჩევნების შემდეგ განვლილ 4 წელიწადში საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე აშენდა ახალი დიდი საწარმოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ბევრი ახალი ქუჩა, პარკები და სკვერები.

თბილისის სტალინის № 624 საარჩევნო ოლქში შეიქმნა 185 საარჩევნო უბანი. კომისიამ დააწესა ყველა უბნის საზღვრები და მიაკუთვნა მათ ნომრები. კომისიის წევრებმა გაინაწილეს მოვალეობანი, დაამტკიცეს მუშაობის გეგმა, დააწესეს მუდმივი მორიგეობა.

(საქდესი).

პიონერთა შეკრება კრემლში

24 იანვარს დილით თოვლით მოფიფქულ წითელ მოედანზე შემოვიდა მოსწავლეთა დიდი კოლონა. მაცხოვრის კარით მოსწავლეები მიემართებიან კრემლის დიდ სასახლეში, სადაც დანიშნულია მოსკოვის პიონერთა შეკრება. დღის 12 საათისათვის გიორგის დარბაზში შეიკრიბა ორი ათას ხუთასი ნორჩი ლენინელი.

თექვსმეტი მებუკე იუწყება შეკრების დაწყებას. შეკრებას ხსნის 69-ე სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე მე-7 კლასის მოსწავლე ანდრიუშა სმოლინი.

ფანფარების მარშის ხმებში მედროშეებს შემოაქვთ დედაქალაქის 25 რაიონის პიონერთა ორგანიზაციების დროშები და მოსკოვის ნორჩ პიონერთა საქალაქო ორგანიზაციის დროშა.

...ინთება პიონერთა კოცონი. რომელიც ოსტატურად წარმოსახეს ელექტრიკოსებმა. დარბაზში გაისმის პიონერთა ათასხმოვანი სიმღერა.

ჩაქრა სინათლე. ბავშვების წინაშე ეკრანზე გამოჩნდა ვლადიმერ ილიასძე ლენინი. ჩართეს მისი სიტყვის გრამაფონის ჩანაწერი. ყურადღებით ისმენენ პიონერები. კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობა წმიდად იცავს და ასრულებს ილიჩის ანდერძს.

შეკრებაზე გამოვიდა საკავშირო ალაკ მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ი. ხალდეევი. მან ილაპარაკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვაზე ბავშვებისათვის. მათთვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა, რათა ბედნიერად და სიხარულით იცხოვრონ, წარმატებით ისწავლონ და განავითარონ შემოქმედებითი ნიჭი.

თითქოს ვეებერთელა მოედანზე არიანო, ისე უსხდებიან პიონერები კოცონს რბილ ხალიჩებზე, რომლებითაც მოფენილია გიორგის დარბაზის იატაკი.

შემოდიან შჩერბაკოვის რაიონის ნორჩი ტექნიკოსები. მათ თან მოაქვთ საკუთარი ხელით დამზადებული ხელსაწყოები, ელექტრომანქანები, გემების მოდელები, რადიომიმღებები. დარბაზის მაღალი კამარის ქვეშ ავიამოდელები ფრენს უვლიან ვეებერთელა მოოქრულ ჭაღების გარშემო და ნელა უშვებენ ძირს. კონსტრუქტორებს ცვლიან მოსკოვის ოლქის ნორჩი ნატურალისტები.

სცენაზეა მოსკოვის პიონერთა საქალაქო სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. სიმღერა „ნორჩ მოსკოველთა მარშს“ ცვლის უკრაინული ცეკვა კოცონთან. შეკრების ყველა მონაწილე მღერის საყვარელ სიმღერას სამშობლოზე „ჩვენი მხარე“.

ამ დღეს კრემლის დიდი სასახლის ყველა დარბაზი ნორჩ ლენინელთა განკარგულებაშია.

პიონერთა შეკრებაზე მოვიდნენ ხელოვნების ოსტატები, მეცნიერები, მწერლები, წარმოების ნოვატორები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

აღფრთოვანებულნი და ბედნიერნი გრუნდებოდნენ კრემლიდან მოსკოველი პიონერები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ საარჩევნო ბიულეტენთა ფორმები

თეთრი ფურცელი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

195 ____ წლის _____

_____ კავშირის საბჭოს არჩევნების № _____ ოლქი

დასტოვეთ საარჩევნო ბიულეტენში გვარი ერთი კანდიდატისა, რომელსაც ხმას აძლევთ, სხვები წაშალეთ.

დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი	ვისი წამოყენებულია დეპუტატობის კანდიდატად

კავშირის საბჭოს არჩევნების _____

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე _____

ცისფერი ფურცელი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

195 ____ წლის _____

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № _____ ოლქი _____

_____ გან

(მოკავშირე რესპუბლიკის დასახელება)

დასტოვეთ საარჩევნო ბიულეტენში გვარი ერთი კანდიდატისა, რომელსაც ხმას აძლევთ, სხვები წაშალეთ.

დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი	ვისი წამოყენებულია დეპუტატობის კანდიდატად

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების _____

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე _____

ვარდისფერი ფურცელი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

195 ____ წლის _____

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № _____ ოლქი _____

_____ გან

(ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის ან ნაციონალური ოკრუგის დასახელება)

დასტოვეთ საარჩევნო ბიულეტენში გვარი ერთი კანდიდატისა, რომელსაც ხმას აძლევთ, სხვები წაშალეთ.

დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი	ვისი წამოყენებულია დეპუტატობის კანდიდატად

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების _____

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის ლენინის რაიონის საარჩევნო უბნები

(ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან)

ქ. თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთოა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

საარჩევნო უბანი ავჭალის წყალსადენის კლუბის შენობაში. საზღვრები: მდინარე გლდანი მტკვრიდან პატარა გლდანამდე ჩათვლით, ქალაქის ტერიტორია მდინარე გლდანიდან ხევძმარის ხევამდე, ხევძმარის ხევი მტკვრიდან ავჭალის გზის ხიდამდე, მტკვარი მდინარე გლდანიდან ხევძმარის ხევამდე.

საარჩევნო უბანი ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნის სამმართველოს შენობაში. საზღვრები: ხევძმარის ხევი ავჭალის გზატკეცილიდან მდინარე მტკვრამდე, მტკვრის გაყოლება ღრმაღელის ხევამდე, ღრმაღელის ხევი მტკვრიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილი ღრმაღელის ხევიდან ხევძმარის ხევამდე მარჯვენა მხარე ლუწი ნომრები და ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნის სახლები №№ 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

საარჩევნო უბანი რკინიგზის № 62 რვაწლიანი სკოლის შენობაში. საზღვრები: ავჭალის გზატკეცილის მარცხენა მხარე კენტი ნომრები ღრმაღელის ხევიდან ხევძმარის ხევამდე, ხევძმარის ხევი ავჭალის გზატკეცილიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი ხევძმარის ხევიდან ღრმაღელის ხევამდე.

საარჩევნო უბანი აგურისა და ბეტონის კომბინატის საბავშვო ბაღის შენობაში (ღრმაღელე). საზღვრები: ღრმაღელის ხევი რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება მსროლელთა ხევამდე, მსროლელთა ხევი ავჭალის გზამდე, გვაზაურის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 14-მდე, აგურის მექანიზებული ქარხნის ტერიტორია, ავჭალის გზა ღრმაღელის ხევამდე.

საარჩევნო უბანი მე-3 საბავშვო ბაგის შენობაში (მაგნიტოგორსკის ქუჩა № 3). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები გვაზაურის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე, ღრმაღელის ქუჩის ლუწი ნომრები კნოლევის ქუჩამდე, კნოლევის ქუჩის ლუწი ნომრები 52-დან ბოლომდე, ქალაქის საზღვარი გვაზაურის ქუჩამდე, გვაზაურის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 7-მდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 47-ე რვაწლიანი სკოლის შენობაში (ინდუსტრიალიზაციის ქ. № 3). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები ღრმაღელის ქუჩიდან № 361-მდე, სტახანოვის ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი კნოლევის ქუჩამდე, კნოლევის ქუჩის კენტი ნომრები 47-დან 65-მდე, ღრმაღელის ქუჩის კენტი ნომრები კნოლევის ქუჩიდან საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 39-ე საშუალო სკოლის შენობაში (ინდუსტრიალიზაციის ქ. № 6). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები 361-დან კოლექტივიზაციის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩიდან ინდუსტრიალიზაციის ქუჩამდე, ინდუსტრიალიზაციის ქუჩა № 2, ლევანევსკის ქუჩა, 38-ე საშუალო სკოლის ტერიტორია, დეპუტატის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 12-მდე, სტახანოვის ქუჩის კენტი ნომრები დეპუტატის ქუჩიდან საბჭოს ქუჩის № 361-მდე.

საარჩევნო უბანი კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის შენობაში (მაგნიტოგორსკის ქ. № 1). საზღვრები: საბჭოს ქუჩის ლუწი ნომრები მსროლელთა ხევიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის კენტი ნომრები, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ქუჩამდე, მაგნიტოგორსკის ქუჩის კენტი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება მსროლელთა ხევამდე, მსროლელთა ხევი საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 38-ე საშუალო სკოლის შენობაში (ხუთწლედის ქ. № 63). საზღვრები: ხუთწლედის ქუჩის ლუწი ნომრები წიწამურის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ქუჩამდე, მაგნიტოგორსკის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება ტრიკოტაჟის კომბინატის საზღვრამდე, ტრიკოტაჟის კომბინატის სამხრეთი საზღვარი ხუთწლედის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი საქნავთის ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის შენობაში (ზესტაფონის ქ. № 5). საზღვრები: ხუთწლედის ქუჩის ლუწი ნომრები საყვირის ქუჩიდან ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის № 7 სახლამდე, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახლიდან რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება საყვირის ქუჩამდე, საყვირის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი 22-ე საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქ. № 226). საზღვრები: საბჭოს ქუჩის ლუწი ნომრები ზეინკლის ქუჩიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩამდე, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან ზეინკლის ქუჩამდე, ზეინკლის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი თბილსათბობის გარაჟის შენობაში (ზედაზნის ქ. № 4). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები კოლექტივიზაციის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩა, სამშობიარო სახლი, ვოროშილოვის ქუჩის ლუწი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩა №№ 2, 4 და 6, რიონჰესის ქუჩა №№ 72, 74, 76, 78 და 80, ზედაზნის ქუჩის ლუწი ნომრები რიონჰესის ქუჩიდან დიდი ჯიხაიშის ქუჩამდე, დიდი ჯიხაიშის შესახვევის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი კოლექტივიზაციის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის ლუწი ნომრები 32-დან ბოლომდე, კრემატორიუმის ხევი კოლექტივიზაციის 1-ლი შესახვევიდან საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ავტოშემკეთებელი ქარხნის საბავშვო ბაღის შენობაში (საბჭოს ქ. № 317). საზღვრები: კოლექტივიზაციის ქუჩა საბჭოს ქუჩიდან ინდუსტრიალიზაციის ქუჩამდე, ინდუსტრიალიზაციის ქუჩა № 1, ლევანევსკის ქუჩის ლუწი ნომრები 12-დან 24-მდე, დეპუტატის ქუჩის ლუწი ნომრები 12-დან 24-მდე, დეპუტატის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 11-მდე, სტახანოვის ქუჩის კენტი ნომრები დეპუტატის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი კოლექტივიზაციის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის კენტი ნომრები ბოლოდან კოლექტივიზაციის 1-ლ შესახვევამდე, კრემატორიუმის ხევი საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-16 საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 275). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან ხარატის ქუჩამდე, ხარატის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩიდან რიონჰესის ქუჩამდე, რიონჰესის ქუჩის ლუწი ნომრები დასაწყისიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის ლუწი ნომრები 8-დან 16-მდე, ზედაზნის ქუჩის კენტი ნომრები 21-დან რიონჰესის ქუჩამდე, რიონჰესის ქუჩა №№ 67, 69 და 71, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები 3-დან 9-მდე, ვოროშილოვის ქუჩის კენტი ნომრები 53-დან 79-მდე, ბენდელიანის ქუჩის კენტი ნომრები 7-დან საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი 62-ე საბავშვო ბაღის შენობაში (რიონჰესის ქუჩა № 35). საზღვრები: ბენდელიანის ქუჩის ლუწი ნომრები 26-დან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი ბენდელიანის ქუჩიდან კრემატორიუმის გზამდე, კრემატორიუმის გზა დიდი ჯიხაიშის შესახვევამდე, დიდი ჯიხაიშის შესახვევის ლუწი ნომრები მთლიანად, კვარტალი ზედაზნის ქუჩის № 19-დან დიდი ჯიხაიშის 1-ლი შესახვევის გაგრძელებამდე, დიდი ჯიხაიშის ქუჩა № 68-დან ზედაზნის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი რაიონის დასუფთავების კანტორის შენობაში (მოტორის შესახვევი № 1). საზღვრები: რიონჰესის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 33-მდე, ვოროშილოვის ქუჩის კენტი ნომრები ძრავის ქუჩიდან ხარატის ქუჩამდე, მოტორის შესახვევი ვოროშილოვის ქუჩიდან სვანეთის ხევამდე, სვანეთის ხევი საკოლმეურნეო ბაზრიდან სანერგის ქუჩამდე, სანერგის ქუჩის გაყოლება ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის კენტი ნომრები ბოლოდან რიონჰესის ქუჩამდე, დიდი ჯიხაიშის ქუჩის კენტი ნომრები 43-დან 71-მდე და ლუწი ნომრები 46-დან 66-მდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის პირველი სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (საბჭოს ქ. № 204). საზღვრები: საბჭოს ქუჩის ლუწი ნომრები 166-დან ზეინკლის ქუჩამდე, ზეინკლის ქუჩის კენტი ნომრები საბჭოს ქუჩიდან ხუთწლედის ქუჩამდე, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები ზეინკლის ქუჩიდან საყვირის ქუჩამდე, საყვირის ქუჩის კენტი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება ტყიბულის ქუჩამდე, ტყიბულის ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზიდან საბჭოს ქუჩის № 166-მდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ქალთა № 2 საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქ. № 168). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები 237-დან 271-მდე, ვოროშილოვის მე-3 შესახვევი №№ 4, 6 და 8, ვოროშილოვის ქუჩა №№ 31, 33, 35 და 37, ვოროშილოვის მეორე შესახვევის ლუწი ნომრები, ზაჰესის ქუჩის ლუწი ნომრები 26-დან 40-მდე, ქალაქის საზღვარი ზაჰესის ქუჩიდან სანერგის ქუჩამდე, სანერგის ქუჩა სვანეთის ხევამდე, სვანეთის ხევი საკოლმეურნეო ბაზრამდე, ძრავის შესახვევი, ვოროშილოვის ქუჩის ლუწი ნომრები 74-დან 86-მდე, ხარატის ქუჩის კენტი ნომრები ვოროშილოვის ქუჩიდან საბჭოს ქუჩის № 271-მდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-18 საშუალო სკოლის შენობაში (ვოროშილოვის ქ. № 29). საზღვრები: თოფურიძის ქუჩის კენტი ნომრები 43-დან 73-მდე, გუბის ქუჩის ლუწი ნომრები თავიდან ბოლომდე, ქალაქის საზღვარი გუბის ქუჩიდან ზაჰესის ქუჩამდე, ზაჰესის ქუჩის კენტი ნომრები 33-დან 61-მდე, ვოროშილოვის მე-2 შესახვევის კენტი ნომრები, ვოროშილოვის ქუჩის ლუწი ნომრები ვოროშილოვის მე-2 შესახვევიდან მე-3 შესახვევამდე, ვოროშილოვის მე-3 შესახვევის კენტი ნომრები ვოროშილოვის ქუჩიდან თოფურიძის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის“ შენობაში (საბჭოს ქ. № 128). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის ქუჩიდან № 235-მდე, ჩოდრიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩიდან № 22-მდე, ლიკანის ქუჩა თოფურიძის ქუჩიდან ჩხიკვაძის ქუჩამდე, თოფურიძის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩის № 235-დან თოფურიძის ქუჩა № 62-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რკინიგზის მე-9 საბავშვო ბაღის შენობაში (კამალოვის ქუჩა № 30). საზღვრები: ვოროშილოვის ქუჩის კენტი ნომრები საზღვრის ქუჩიდან გუბის ქუჩამდე, საზღვრის ქუჩის ლუწი ნომრები ვოროშილოვის ქუჩიდან კამალოვის ქუჩამდე, პიონერის ქუჩა №№ 2, 4, 6, 28, 30 და 32, კალიუჟნის ქუჩის კენტი ნომრები 19-დან 27-მდე, წევის ქუჩის ლუწი ნომრები კალიუჟნის ქუჩიდან პიონერის ქუჩამდე, ზიარის ქუჩის ლუწი ნომრები პიონერის ქუჩიდან რაჭის ქუჩამდე, რაჭის ქუჩა ზიარის ქუჩიდან საზღვრის ქუჩამდე, ქალაქის საზღვარი რაჭის ქუჩიდან გუბის ქუჩამდე, გუბის ქუჩის კენტი ნომრები ბოლოდან ვოროშილოვის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის შენობაში (ლოტკინის ქ. № 38). საზღვრები: ლიკანის ქუჩის კენტი ნომრები გუბის ქუჩიდან კურგანის ქუჩამდე, კურგანის ქუჩის ლუწი ნომრები 22-დან ბოლომდე, ლოტკინის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 24-მდე, ვატმანის ქუჩის კენტი ნომრები, საზღვრის ქუჩა №№ 15, 17 და 19, ვოროშილოვის ქუჩის ლუწი ნომრები საზღვრის ქუჩიდან გუბის ქუჩამდე, გუბის ქუჩის კენტი ნომრები ვოროშილოვის ქუჩიდან ლიკანის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი მე-80 საბავშვო ბაღის შენობაში (მიტინგის ქ. № 1). საზღვრები: ასურეთის ქუჩა გეგუთის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი წერონისის ქუჩამდე, წერონისის ქუჩის ლუწი ნომრები 26-დან ბოლომდე, ბერძენაულის ქუჩა №№ 24 და 27, გომარეთის ქუჩის ლუწი ნომრები 14-დან 24-მდე, ახტალის ქუჩის ლუწი ნომრები გომარეთის ქუჩიდან რაჭის ქუჩამდე, რაჭის ქუჩა №№ 2, 4 და 6, კვარტალი რაჭის ქუჩიდან ავიაქიმის ქუჩამდე, ავიაქიმის ქუჩა გეგუთის ქუჩამდე, გეგუთის ქუჩა ავიაქიმის ქუჩიდან ასურეთის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 45-ე საშუალო სკოლის შენობაში (ლოტკინის ქუჩა № 36). საზღვრები: წერონისის ქუჩის კენტი ნომრები ბერძენაულის ქუჩიდან ბოლომდე, ბერძენაულის ქუჩა №№ 26 და 29, გომარეთის ქუჩის კენტი ნომრები 15-დან 23-მდე, ახტალისა და ზიარის ქუჩების კენტი ნომრები პიონერის ქუჩიდან გომარეთის ქუჩამდე, მიტინგის ქუჩის კენტი ნომრები პიონერის ქუჩიდან კაჭრეთის ქუჩამდე, მაღაროს ქუჩა თავიდან ბოლომდე, კონდოლისა და პროლეტარის ქუჩების ლუწი ნომრები, ქალაქის საზღვარი წერონისის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 45-ე საშუალო სკოლის შენობაში (ლოტკინის ქუჩა № 36). საზღვრები: კონდოლისა და პროლეტარის ქუჩების კენტი ნომრები, მიტინგის ქუჩის ლუწი ნომრები 4-დან ბოლომდე, წევის ქუჩის კენტი ნომრები კამალოვის ქუჩიდან მიტინგის ქუჩამდე, კამალოვის ქუჩის კენტი ნომრები 9-დან 17-მდე, ტულის ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან ბოლომდე, ქალაქის საზღვარი ტულის ქუჩიდან პროლეტარის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ბავშვთა 1-ლი კონსულტაციის შენობაში (ხუდადოვის ქუჩა № 4). საზღვრები: ტულის ქუჩის კენტი ნომრები 21-დან ბოლომდე, ქებურიას ქუჩის კენტი ნომრები 53-დან 65-მდე, მუშათა ქუჩის კენტი ნომრები დურგლის ქუჩიდან ქებურიას ქუჩამდე, დურგლის ქუჩის კენტი ნომრები „პრავდის“ ქუჩიდან მუშათა ქუჩამდე, „პრავდის“ ქუჩის კენტი ნომრები 19-დან 33-მდე, ხუდადოვის ქუჩის ლუწი ნომრები 34-დან ბოლომდე, ქალაქის საზღვარი ტულის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის მე-3 საბავშვო ბაღის შენობაში (თოფურიძის ქუჩა № 19). საზღვრები: ჩოდრიშვილის და კისისხევის შესახვევები ლოტკინის ქუჩიდან ძმათა ქუჩამდე, ძმათა ქუჩის კენტი ნომრები მუშათა ქუჩამდე, მუშათა ქუჩის კენტი ნომრები კისისხევის ქუჩიდან ქებურიას ქუჩამდე, ტულის ქუჩის კენტი ნომრები ქებურიას ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, წევის ქუჩა კამალოვის ქუჩიდან კალიუჟნის ქუჩამდე, კალიუჟნის ქუჩის ლუწი ნომრები 16-დან 24-მდე, პიონერის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 9-მდე, ვატმანის ქუჩის ლუწი ნომრები, ლოტკინის ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის შესახვევიდან № 25-მდე.

საარჩევნო უბანი აბანო № 2-ის შენობაში (თოფურიძის ქუჩა № 1). საზღვრები: ბრიგადირის ქუჩის კენტი ნომრები 23-დან 29-მდე, ჩხიკვაძის ქუჩა №№ 13, 15, 17 და 19, ჩხიკვაძის ქუჩის შესახვევის კენტი ნომრები ჩხიკვაძის ქუჩიდან თოფურიძის ქუჩამდე, თოფურიძის ქუჩის კენტი ნომრები ჩხიკვაძის შესახვევიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის ლუწი ნომრები 18-დან 30-მდე, „პრავდის“ ქუჩის ლუწი ნომრები 16-დან 32-მდე, დურგლის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 20-მდე, კისისხევის ქუჩა დურგლის ქუჩიდან ძმათა ქუჩამდე, ძმათა ქუჩის ლუწი ნომრები ბრიგადირის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქ. № 132). საზღვრები: საბჭოს ქუჩის კენტი ნომრები 163-დან 177-მდე, ბრიგადირის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩიდან ბოლომდე, ძმათა ქუჩა ბრიგადირის ქუჩიდან კისისხევის შესახვევამდე, ჩოდრიშვილისა და კისისხევის შესახვევის კენტი ნომრები, კურგანის ქუჩის კენტი ნომრები ჩხიკვაძის ქუჩიდან ჩოდრიშვილის შესახვევამდე, ჩოდრიშვილის ქუჩის კენტი ნომრები საბჭოს ქუჩიდან № 21-მდე.

საარჩევნო უბანი პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 128). საზღვრები: საბჭოს ქუჩის ლუწი ნომრები 114-დან 164-მდე, ტყიბულის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება ტყიბულის ქუჩიდან ხუდადოვის ქუჩამდე, რკინიგზის ქუჩის ლუწი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ბრიგადირის ქუჩამდე, ბრიგადირის ქუჩის ლუწი ნომრები საბჭოს ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-20 საშუალო სკოლის შენობაში (ბრიგადირის ქუჩა № 7). საზღვრები: რკინიგზის ქუჩის კენტი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ბრიგადირის ქუჩამდე, ბრიგადირის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ქუჩიდან ჩხიკვაძის ქუჩამდე, ჩხიკვაძის ქუჩა №№ 12, 14 და 16, ჩხიკვაძის შესახვევის ლუწი ნომრები ჩხიკვაძის ქუჩიდან თოფურიძის ქუჩამდე, თოფურიძის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 12-მდე, ხუდადოვის ქუჩის ლუწი ნომრები თოფურიძის ქუჩიდან რკინიგზის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 100). საზღვრები: ზაქრაძის ქუჩის კენტი ნომრები დასაწყისიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ტყის გაყოლება ხუდადოვის ქუჩის ბოლომდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები ზაქრაძის ქუჩიდან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-19 საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 127). საზღვრები: ზაქრაძის ქუჩის ლუწი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ბოლომდე, 26 კომისრის სახელობის ქარხნის საზღვრიდან რკინიგზის გაყოლება ხუდადოვის ქუჩის გაგრძელებამდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები საქვეითო ხიდიდან ზაქრაძის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 21-ე საშუალო სკოლის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 111). საზღვრები: სუნჟენის ხევის ლუწი ნომრები ფიროსმანის მოედნიდან მონტინის მეორე შესახვევამდე, მონტინის მე-2 შესახვევი №№ 2, 4, 6 და 8, მონტინის ქუჩა № 16, მონტინის მე-3 შესახვევის ლუწი ნომრები 2-დან 16-მდე და გაგრძელება ხუდადოვის ტყის მიმართულებით ზაქრაძის ქუჩის დასაწყისამდე, 26 კომისრის სახელობის ქარხნის საზღვრის გაყოლება ზაქრაძის ქუჩის დასაწყისიდან რკინიგზამდე, რკინიგზის გაყოლება ფიროსმანის მოედნამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლის შენობაში (ცხრა ძმის ქუჩა № 58). საზღვრები: სუნჟენის ხევი მონტინის მეორე შესახვევიდან აღმა-ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი და ხუდადოვის ტყე მონტინის მე-3 შესახვევის გაგრძელებამდე, მონტინის ქუჩა №№ 15 და 17, მონტინის მე-2 შესახვევის კენტი ნომრები მონტინის ქუჩიდან სუნჟენის ხევამდე.

საარჩევნო უბანი პირველი სამშობიარო სახლის შენობაში (საბჭოს ქუჩა № 317).

საარჩევნო უბანი ტუბინსტიტუტის შენობაში (ხუდადოვის ტყე).

ქ. თბილისის სტალინის რაიონის საარჩევნო უბნები

(სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან)

ქ. თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთოა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

საარჩევნო უბანი მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბის შენობაში (ბრძოლის ქ. № 130). საზღვრები: დიდუბის სადგურთან მისასვლელი გზა და სატრანსპორტო ქუჩა მთლიანად, ბრძოლის ქუჩა № 120-დან № 134-მდე ჩათვლით, № 123-დან № 131-მდე ჩათვლით, წყალტუბოს ქუჩა № 5-დან № 11-მდე ჩათვლით, „გლავსტროის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს საერთო საცხოვრებელი, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლები №№ 5, 6, 7, 8 და 9, ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლი.

საარჩევნო უბანი საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ტექნიკუმის შენობაში (ბრძოლის ქ. № 124). საზღვრები: ბრძოლის ქ. № 120, ბარაკები №№ 1, 2, 3, საერთო საცხოვრებელი № 10, კორპუსი № 11, ქარხანა „მაშდეტალის“ საერთო საცხოვრებელი, ბაღის ქუჩა მთლიანად, სამტრედიის ქ. № 28-დან ბოლომდე და № 15-დან ბოლომდე, სამტრედიის შესახვევი მთლიანად, წყალტუბოს ქუჩა № 19-დან ბოლომდე და № 16-დან 26-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 43-ე საშუალო სკოლის შენობაში (ბრძოლის ქ. № 122). საზღვრები: წყალტუბოს ქ. № 13-დან № 17-მდე და № 2-დან № 14-მდე ჩათვლით, სამტრედიის ქ. № 2-დან № 26-მდე და № 1-დან № 13-მდე ჩათვლით, ბრძოლის ქ. № 88-დან № 118-მდე და № 83-დან № 121-მდე ჩათვლით, რკინიგზის სახლი № 5, რკინიგზის ლიანდაგი, ხორბლის ქუჩა, დიდუბის მე-6 შესახვევი № 1-დან № 15-მდე ჩათვლით, დიდუბის მე-7 და მე-8 შესახვევები მთლიანად, რკინიგზის ქ. № 1-დან № 5-მდე და № 2-დან № 12-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ხილეული წყლების ქარხნის შენობაში (ბრძოლის ქ. № 104). საზღვრები: დიდუბის მე-6 შესახვევი № 2-დან ბოლომდე და № 17-დან ბოლომდე, დიდუბის მე-9 შესახვევი მთლიანად, სამშენებლო-სამონტაჟო კომბინატის და № 5 პურის ქარხნის საერთო საცხოვრებლები, ბრძოლის ქ. № 70-დან № 86-მდე ჩათვლით, დიდუბის მე-2-ა შესახვევი მთლიანად, დიდუბის მე-10 შესახვევის კენტი ნომრები.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-15 საშუალო სკოლის შენობაში (ბრძოლის ქ. № 42). საზღვრები: ბრძოლის ქ. № 36-დან № 68-მდე ჩათვლით, დიდუბის პირველი და მეორე შესახვევები მთლიანად, ქუთაისის ქუჩის ლუწი ნომრები მთლიანად, ვახუშტის შესახვევის №№ 13 და 15, №№ 16 და 18, დიდუბის ქ. № 15-დან ბოლომდე და № 16-დან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი ლუდის № 3 ქარხნის შენობაში (ვახუშტის შესახვევი № 3). საზღვრები: ბრძოლის ქ. № 28-დან № 34-მდე ჩათვლით, ქუთაისის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად, ვახუშტის შესახვევი № 2-დან № 14-მდე ჩათვლით და № 1-დან № 11-მდე ჩათვლით, ვახუშტის ქ. № 2-დან № 38-მდე ჩათვლით და № 1-დან № 5-მდე ჩათვლით, დიდუბის ქ. № 11 და № 13 და № 10-დან № 14-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ბავშვთა სანატორიუმის შენობაში (სოხუმის ქ. № 4). საზღვრები: ბრძოლის ქ. № 35-დან № 81-მდე ჩათვლით, ხორბლის ქუჩის კენტი ნომრები, იპოდრომის ქუჩის ორივე მხარე, ხევის ქ. № 1-დან № 3-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 133-დან ბოლომდე, ევდოშვილის ქ. № 2-დან № 10-მდე ჩათვლით, № 1-დან № 15-მდე ჩათვლით და №№ 18, 20, 25 და 27, ცემის ქუჩა მთლიანად, სოხუმის ქ. № 4-დან № 8-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ქალთა მე-4 სკოლის შენობაში (სოხუმის ქ. № 1). საზღვრები: ორჯონიკიძის ქ. № 121-დან № 131-მდე ჩათვლით და № 116-დან № 130-მდე ჩათვლით, ზუგდიდის ქუჩა მთლიანად, ევდოშვილის ქ. №№ 14 და 16, № 17-დან № 23-მდე ჩათვლით, სოხუმის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად და № 2, ვახუშტის ქ. № 40-დან № 54-მდე ჩათვლით, ბრძოლის ქ. № 33, ოზურგეთის ქუჩა მთლიანად.

საარჩევნო უბანი 90-ე საბავშვო ბაღის შენობაში (ბათუმის შესახ. № 14). საზღვრები: ვახუშტის ქ. № 41-დან № 61-მდე ჩათვლით, ფოთის ქ. № 7-დან № 23-მდე ჩათვლით, ბათუმის შესახ. მთლიანად, ბათუმის ქ. № 3-დან № 11-მდე ჩათვლით, ფოთის ქ. № 6-დან № 16-მდე ჩათვლით, ბრძოლის ქ. № 19-დან № 31-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი მაცივარკომბინატის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 113). საზღვრები: ვახუშტის ქ. № 56-დან ბოლომდე და № 63-დან ბოლომდე, ორჯონიკიძის ქ. № 109-დან № 119-მდე ჩათვლით და № 106-დან № 110-მდე ჩათვლით, ფოთის ქ. №№ 2 და 4 და № 1-დან № 5-მდე ჩათვლით, გორის ქ. № 24-დან ბოლომდე და № 21-დან ბოლომდე, ბათუმის ქ. № 2-დან № 6-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ტრესტ „თბილმშენის“ გარაჟის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 106). საზღვრები: ბათუმის ქ. № 10-დან № 32-მდე ჩათვლით, გორის ქ. № 8-დან № 22-მდე ჩათვლით და № 5-დან № 15-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 94-დან № 104-მდე და გორის შესახ. № 2-დან № 12-მდე ჩათვლით, ტრამვაის შესახვევი № 5-დან № 13-მდე ჩათვლით და № 6-დან № 14-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ქალთა მე-6 სკოლის შენობაში (კოოპერაციის ქ. № 7). საზღვრები: ვახუშტის ქ. № 7-დან № 19-მდე ჩათვლით, დიდუბის ქ. № 2-დან № 8/19-მდე, ბათუმის ქ. № 34-დან ბოლომდე, ბრძოლის ქ. № 8-დან № 14-მდე, გლდანის ქ. № 1-დან № 25-მდე და № 2-დან № 20-ა ჩათვლით, მაიაკოვსკის ქუჩა №№ 4, 4-ა.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-13 საშუალო სკოლის შენობაში (კოოპერაციის ქ. № 17). საზღვრები: ვახუშტის ქ. № 21-დან № 37-მდე ჩათვლით, ბრძოლის ქ. № 16-დან № 26-მდე ჩათვლით, ბათუმის ქ. № 15-დან ბოლომდე, ბათუმის ჩიხი მთლიანად, დიდუბის ქ. № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, ფოთის ქ. № 25-დან ბოლომდე და № 18-დან ბოლომდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის საბავშვო ბაღის შენობაში (გორის ქ. № 1). საზღვრები: ბრძოლის ქ. № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, გორის ქ. № 1 და № 3 და № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, გორის შესახვ. № 1-დან № 7-მდე ჩათვლით და № 14, ბრძოლის ქ. № 3-დან 15-მდე ჩათვლით, ტრამვაის შესახვ. № 2-დან № 4-მდე ჩათვლით და № 1-დან № 3-მდე ჩათვლით, ტრამვაის ქ. № 9-დან № 27-მდე ჩათვლით, საგურამოს ქუჩა მთლიანად.

საარჩევნო უბანი კულტურისა და დასვენების პარკის დირექციის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 182). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 171 და № 148-დან № 184-ბ-მდე ჩათვლით, ხვამლის ქ. მთლიანად, პასტერის ქ. № 6-დან № 16-მდე ჩათვლით, კამოს ქ. №№ 115, 115-ა, 117 და № 76-დან № 84-მდე ჩათვლით, ტექნიკური ქ. № 1-დან № 3-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი „დინამოს“ სტადიონის შენობაში (ტელმანის ქ. № 2). საზღვრები: კლარა ცეტკინის ქ. № 180-დან 200-მდე ჩათვლით, ტელმანის ქ. № 3-დან № 13-მდე ჩათვლით, ბორჯომის ქ. № 12-დან № 18-მდე ჩათვლით, პლეხანოვის პროსპ. №№ 187, 189, 191, 195, 197.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-16 საშუალო სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 170). საზღვრები: პლეხანოვის პროსპექტი № 163-დან № 169-მდე ჩათვლით და № 173-დან № 185-მდე ჩათვლით და № 193, ტელმანის ქ. № 3-ბ და კეჩის სახლი, კლ. ცეტკინის ქ. № 174-დან № 178-მდე ჩათვლით, ჩელუსკინელთა ქ. № 2-დან № 12-მდე ჩათვლით და № 1-დან № 5-მდე ჩათვლით, ბორჯომის ქ. № 2-დან № 10-მდე ჩათვლით და № 1-დან № 17-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 155). საზღვრები: კლ. ცეტკინის ქ. № 146-დან № 172/13-მდე ჩათვლით, ჩელუსკინელთა ქუჩა № 7-დან № 11-მდე ჩათვლით, ბაქოს ქუჩა მთლიანად, პლეხანოვის პრ. № 147-დან № 161-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 123). საზღვრები: 25 თებერვლის ქ. № 4, და № 6, კლ. ცეტკინის ქ. № 126-დან № 138-მდე ჩათვლით, კარგარეთელის ქ. № 3-დან № 11/133 ჩათვლით და № 10 და № 12, პლეხანოვის პრ. № 131-დან № 143-მდე ჩათვლით და № 144 და № 146, პასტერის ქ. № 2 და № 4.

საარჩევნო უბანი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს შენობაში (ტელმანის ქ. № 8). საზღვრები: ორჯონიკიძის ქ. № 83-დან № 107-მდე ჩათვლით, ჩელუსკინელთა ქ. № 26-დან № 32-მდე ჩათვლით და № 35, გოგოლის ქ. № 53-დან № 65-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ჩიხი მთლიანად, ტრამვაის ქ. № 1-დან № 7-მდე ჩათვლით და № 2.

საარჩევნო უბანი ტექნიკუმის შენობაში (კამოს ქ. № 70). საზღვრები: ტექნიკური ქ. № 2-დან № 10-მდე ჩათვლით, ტექნიკური ჩიხი მთლიანად, უშ. ჩხეიძის ქ. № 1-დან № 19-მდე ჩათვლით და № 2-დან № 8-მდე ჩათვლით, კამოს ქ. № 56-დან № 74-მდე ჩათვლით და 85-დან № 99-მდე ჩათვლით, კრილოვის ქ. № 4-დან № 12-მდე ჩათვლით და ჩოდრიშვილის შესახ. № 3-დან № 13-მდე ჩათვლით, კამოს ქ. № 107 და № 109.

საარჩევნო უბანი კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში (უშანგი ჩხეიძის ქ. № 8). საზღვრები: უშ. ჩხეიძის ქ. № 10-დან № 28-მდე ჩათვლით და № 21-დან № 29-მდე ჩათვლით, მარჯანიშვილის ქ. № 2-დან № 10-მდე ჩათვლით, კამოს ქ. № 46-დან № 54-ა-მდე ჩათვლით, ჩოდრიშვილის შესახ. № 2-დან № 12-ის ჩათვლით და № 1, კამოს ქ. № 69-დან № 83-მდე ჩათვლით, პლეხანოვის პრ. № 110-დან № 116-მდე ჩათვლით და №№ 122, 124.

საარჩევნო უბანი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 91). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 94-დან № 108-მდე ჩათვლით და 87-დან № 93-მდე ჩათვლით, მარჯანიშვილის ქ. № 12-დან № 30-მდე ჩათვლით, კლ. ცეტკინის ქ. № 92-ა-დან № 98-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი სახვაჭრობის და საწყობების მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლის შენობაში (ჩოდრიშვილის შესახ. № 8). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 95-დან № 109-მდე ჩათვლით და № 118, შეროზიას ქ. მთლიანად, კლ. ცეტკინის ქ. № 100-დან № 108-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის შენობაში (ტექნიკური ქ. № 8). საზღვრები: პასტერის ქუჩის კენტი ნომრები, პლეხანოვის პრ. № 126/2-დან № 142/1-მდე ჩათვლით, კრილოვის ქუჩის კენტი ნომრები, კამოს ქ. № 101-დან № 105-მდე ჩათვლით და № 111-დან № 113-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი „გლავვტორჩერმეტის“ შენობაში (კლ. ცეტკინის ქ. № 110). საზღვრები: 25 თებერვლის ქ. № 8-დან № 16-მდე ჩათვლით და № 17-დან № 21-მდე ჩათვლით, კლ. ცეტკინის ქ. № 124 და № 99-დან № 115-ბ-მდე ჩათვლით, კალინინის ქ. № 102-დან № 120-მდე. № 85-დან № 103-მდე და № 107-დან № 109-მდე

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ქ. თბილისის სტალინის რაიონის საარჩევნო უბნები

(დასასრული)

ჩათვლით, კონსტიტუციის ქ. № 5, კლდიაშვილის ქ. № 2.

საარჩევნო უბანი მეთამბაქოეთა № 100 საბავშვო ბაღის შენობაში (კალინინის ქ. № 83). საზღვრები: კლდიაშვილის ქ. № 1-დან № 7-მდე ჩათვლით და № 4 და № 6, ნინოშვილის ქ. № 28-დან № 42-მდე ჩათვლით, კალინინის ქ. № 71-ა-დან № 83/5-მდე და № 84-დან № 100/3-მდე ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქ. № 81-დან № 91-მდე ჩათვლით და № 97.

საარჩევნო უბანი ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმის შენობაში (კალინინის ქ. № 88). საზღვრები: საბჭოს ქ. № 48-დან № 52-მდე ჩათვლით, მარჯანიშვილის ქ. № 32-დან № 44-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 11-დან № 19-ა-მდე ჩათვლით და № 18-დან № 30-მდე ჩათვლით, ნინოშვილის ქ. № 17-დან № 31-მდე ჩათვლით და № 22-დან № 26-მდე ჩათვლით, კალინინის ქ. № 69-დან № 71-მდე ჩათვლით, № 80 და № 82-ა, კლარა ცეტკინის ქ. № 73-დან № 79-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 23-ე საშუალო სკოლის შენობაში (25 თებერვლის ქ. № 2). საზღვრები: პლეხანოვის პრ. № 111-დან № 129-მდე ჩათვლით და № 120, 25 თებერვლის ქ. № 3-დან № 13-მდე ჩათვლით და № 2, კლ. ცეტკინის ქ. № 110-დან №122-მდე ჩათვლით და № 93-დან № 95-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი რადიოტექნიკუმის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 49). საზღვრები: გოგოლის ქ. № 34-დან № 46-მდე ჩათვლით და № 45-დან № 51-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქ. № 17 და № 19 და № 4-დან № 10-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 47-დან № 65-მდე ჩათვლით, ხეჩუაშვილის ქ. №№ 7, 11, 13, 20 და 22, ფიროსმანის ქ. № 42-დან № 48-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის შენობაში (ნინოშვილის ქ. № 39). საზღვრები: გოგოლის ქ. № 1-დან № 43-მდე ჩათვლით და № 12-დან № 32-მდე ჩათვლით, კლდიაშვილის ქ. №№ 15, 17 და № 16-დან № 22-მდე ჩათვლით, საბჭოს ქ. №№ 68 და 70, ფიროსმანის ქ. № 2-დან № 28-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქ. № 21, ორჯონიკიძის ქ. № 45.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის შენობაში (ნინოშვილის ქ. № 57). საზღვრები: კონსტიტუციის ქ. № 11 და № 13, კალინინის ქ. № 105, ნინოშვილის ქ. № 33-დან № 57-მდე ჩათვლით და № 44-დან № 60-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქ. № 32-დან № 40-მდე ჩათვლით და № 31-დან № 43-მდე ჩათვლით, კლდიაშვილის ქ. № 8-დან № 14-მდე ჩათვლით, გოგოლის ქ. № 2-დან № 10-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 1 თამბაქოს ფაბრიკის საბავშვო ბაგის შენობაში (ჩელუსკინელთა ქ. № 18). საზღვრები: ორჯონიკიძის ქ. № 72-დან № 90-მდე ჩათვლით, ტელმანის ქ. № 15-დან № 19-მდე ჩათვლით და № 6, კლ. ცეტკინის ქ. № 129-დან № 141-მდე ჩათვლით, ტრამვაის ქ. № 4-დან № 12-მდე ჩათვლით, ჩელუსკინელთა ქ. № 14-დან № 24-მდე ჩათვლით და № 15-დან № 19-მდე ჩათვლით, სურამის ქ. № 7-დან № 15-მდე ჩათვლით და № 6-დან № 8-მდე, ყვირილის ქ. № 2-დან № 18-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის შენობაში (კლარა ცეტკინის ქ. № 119). საზღვრები: ორჯონიკიძის ქ. № 40-ა-დან № 70-მდე ჩათვლით, ჩელუსკინელთა ქ. № 21-დან № 27-მდე ჩათვლით, ყვირილის ქ. № 1-დან 13-მდე ჩათვლით, ხეჩუაშვილის ქ. № 2-დან № 6-მდე და №10-დან № 16-მდე ჩათვლით, სურამის ქ. № 1-დან № 5-მდე ჩათვლით და № 2 და № 4, კლ. ცეტკინის ქ. № 117-დან № 127-მდე ჩათვლით და № 140-დან № 144-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქ. № 1 და № 3 და № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, კარგარეთელის ქ. № 2-დან № 8-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი არტელ „წითელი კერამიკის" შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 73). საზღვრები: გოგოლის ქ. № 48-დან № 70-მდე ჩათვლით, ხეჩუაშვილის ქ. № 18 და № 24, ორჯონიკიძის ქ. № 67-დან № 81-მდე ჩათვლით და ჩელუსკინელთა ქ. № 29-დან № 33-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 2 ღვინის ქარხნის შენობაში (გოგოლის ქ. № 63). საზღვრები: საბჭოს ქ. № 96, ფიროსმანის ქ. № 21-დან № 33-მდე ჩათვლით და № 50-დან № 58-მდე ჩათვლით, საცხოვრებელი კორპუსები №№ 1, 2, 3 და 4, ხეჩუაშვილის ქ. № 26 და № 28 და ჩელუსკინელთა ქ. № 37, კონსტიტუციის ქ. № 29.

საარჩევნო უბანი ლენინის სახელობის სპორტდარბაზის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6). საზღვრები: ფიროსმანის ქ. № 3-დან № 19-მდე და № 30-დან № 40-მდე ჩათვლით, საბჭოს ქ. № 54-დან № 66-მდე და № 76-დან № 94-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქ. № 23 და № 25.

საარჩევნო უბანი ქალაქის მე-2 საავადმყოფოსთან (კამოს ქ. № 103).

საარჩევნო უბანი სამამულო ომის ინვალიდების რესპუბლიკურ ჰოსპიტალთან (უშანგი ჩხეიძის ქ. № 17).

საარჩევნო უბანი № 2 სამშობიარო სახლთან (კამოს ქ. № 54).

საარჩევნო უბანი თვალის დაავადებათა ინსტიტუტთან (შეროზიას ქ. № 7).

საარჩევნო უბანი ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტთან (პლეხანოვის პრ. № 139).

საარჩევნო უბანი ვენინსტიტუტთან (ნინოშვილის ქ. № 55).

საარჩევნო უბანი ქალაქის მე-4 საავადმყოფოსთან (კოოპერაციის ქ. № 11).

საარჩევნო უბანი თბილისის რკინიგზის საავადმყოფოსთან და სამშობიარო სახლთან (ორჯონიკიძის ქ. № 101).

საარჩევნო უბანი ვენეროლოგიურ დისპანსერთან (კონსტიტუციის ქ. № 4).

საარჩევნო უბანი ფიზიოთერაპევტულ საავადმყოფოსთან (ორჯონიკიძის ქ. № 30).

საარჩევნო უბანი რკინიგზის ტუბდისპანსერის სტაციონართან (დიდუბის ქ. № 24).

საარჩევნო უბანი № 2 ტუბდისპანსერთან (ბორჯომის ქ. № 10).

ქ. თბილისის კიროვის რაიონის საარჩევნო უბნები

(კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან)

ქ. თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

საარჩევნო უბანი აგრობიოლოგიური სადგურის შენობაში (მიასნიკოვის ქ. № 125). საზღვრები: კრწანისის ხევი მიასნიკოვის ქუჩაზე გამოსვლით, ძაფსართავი ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის ჩათვლით, მდინარე მტკვარი მარნეულის რკინიგზის გადასასვლელამდე, სოლოლაკის მთების ფერდობები კრწანისის ხევამდე, კრწანისის დასახლების ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 21 საბავშვო ბაგის შენობაში (მიასნიკოვის ქუჩა № 102). საზღვრები: მიასნიკოვის ქუჩა № 117-დან მე-4 ნადიკვრის ქუჩამდე, მე-4 ნადიკვრის ქუჩა, ნადიკვრის გასასვლელი, კვარტალის გადაკვეთით მე-3 ნადიკვრის ქუჩამდე, მე-3 ნადიკვრის ქუჩა სასაფლაოს საზღვარზე გავლით, კრწანისის მთების ფერდობები კრწანისის ხევამდე, მიასნიკოვის ქუჩა № 117-მდე, ნადიკვარის ახალშენის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 25 საბავშვო ბაღის შენობაში (მიასნიკოვის ქუჩა № 99). საზღვრები: მე-4 ნადიკვრის ქუჩა მიასნიკოვის ქუჩამდე, მიასნიკოვის ქუჩა № 107-დან გრიშაშვილის ქუჩასთან შეერთებამდე, გრიშაშვილის ქუჩა, ვეზიროვის ქუჩა, სანაინის ქუჩა, ოფრეთის ქუჩა, ბერძნის ქუჩა № 19-დან ბოლომდე, თელეთის ფერდობები, ბერძნების დასახლების ჩათვლით მე-3 ნადიკვრის ქუჩამდე, მე-3 ნადიკვრის ქუჩა ნადიკვარის გასავლამდე, ნადიკვარის გასავლით მე-4 ნადიკვრის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი 31-ე ვაჟთა საშუალო სკოლის შენობაში (მიასნიკოვის ქუჩა № 90). საზღვრები: მიასნიკოვის ქუჩა № 54-დან № 100-მდე ჩათვლით, კრწანისის ხევი მდინარე მტკვრამდე, მდინარე მტკვრის ზევით მიასნიკოვის ქუჩა № 54-მდე, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში (გრიშაშვილის ქუჩა № 53). საზღვრები: გრიშაშვილის ქუჩა № 56-დან ხუციშვილის ქუჩამდე, ხუციშვილის ქუჩა სეიდაბადის ქუჩამდე, სეიდაბადის ქუჩა, შავნაბადის ქუჩა თელეთის ქუჩის გადაკვეთამდე, მეშედოვის შესახვევი, სეიდაბადის მთების ფერდობები ბერძნის ქუჩა № 19-მდე, ოფრეთის ქუჩა, სანაინის ქუჩა, ვეზიროვის ქუჩა გრიშაშვილის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი № 68 საბავშვო ბაღის შენობაში (გრიშაშვილის ქუჩა № 41). საზღვრები: გრიშაშვილის ქუჩა № 47-დან ხარფუხის შესახვევამდე, ხარფუხის შესახვევი, სეიდაბადის მთების ფერდობები, აბილოვის ქუჩა, მეშედოვის შესახვევი, თელეთის ქუჩა, შავნაბადის ქუჩა, სეიდაბადის ქუჩა, ხუციშვილის ქუჩა გრიშაშვილის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი 37-ე აზერბაიჯანული საშუალო სკოლის შენობაში (გრიშაშვილის ქუჩა № 54). საზღვრები: გრიშაშვილის ქუჩა № 40-დან მიასნიკოვის ქუჩის შეერთებამდე, მიასნიკოვის ქუჩა საფაბრიკო შესახვევამდე, საფაბრიკო შესახვევი, კვარტალის გადაკვეთით გრიშაშვილის ქუჩა № 40 სახლთან საფაბრიკო ჩიხის ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ბალნეოლოგიური კურორტის შენობაში (მიასნიკოვის ქუჩა № 47). საზღვრები: მიასნიკოვის ქუჩა № 27-დან საფაბრიკო შესახვევამდე, საფაბრიკო შესახვევი საფეიქრო შესახვევამდე, კვარტალის გადაკვეთით ახუნდოვის ქუჩა № 11-მდე, კვარტალის გადაკვეთით გრიშაშვილის ქუჩა № 4-დან № 24-მდე, აბანოს ქუჩა მიასნიკოვის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი მე-11 პოლიკლინიკის შენობაში (ახუნდოვის ქუჩა № 13). საზღვრები: აბანოს ქუჩა, გრიშაშვილის ქუჩა № 1-დან № 25-მდე, კვარტალის გადაკვეთით ახუნდოვის ქუჩამდე, ახუნდოვის ქუჩა კვარტალის გადაკვეთით საფაბრიკო ჩიხამდე, კვარტალის გადაკვეთით ხარფუხის შესახვევი სეიდაბადის მთების ფერდობებამდე და მდინარე ლეგვთახევი.

საარჩევნო უბანი კულტურის ცენტრალური სახლის შენობაში (მიასნიკოვის ქუჩა № 9). საზღვრები: მიასნიკოვის ქუჩა დასაწყისიდან აბანოს ქუჩამდე, აბანოს ქუჩა, ლეგვთახევი სეიდაბადის მთების ფერდობებამდე ბოტანიკური ბაღის შემოვლით, მთის ფერდობი წრის შესახვევამდე, წრის შესახვევი, სამღებრო ქუჩა მოედნამდე, მოედანი მიასნიკოვის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შენობაში (ლესელიძის ქუჩა № 36). საზღვრები: თუმანიანის შესახვევი, თუმანიანის ქუჩა, მოედანი, სამღებროს ქუჩა, წრის შესახვევი, სეიდაბადის მთების ფერდობები, ძველი ციხის შესახვევი, კვარტალის გადაკვეთით აზიზბეგოვის ქუჩა თუმანიანის შესახვევთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის შენობაში (ლესელიძის ქუჩა № 37). საზღვრები: აზიზბეგოვის ქუჩა № 1-დან № 35-მდე, კვარტალის გადაკვეთით № 35 და № 37 სახლებს შუა სეიდაბადის მთების ფერდობები აზიზბეგოვის შესახვევამდე, აზიზბეგოვის შესახვევი № 2 სახლის შემოვლით ქვემოგომის შესახვევის ლუწი ნომრები აზიზბეგოვის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ტყემრეწვკავშირის შენობაში (ლესელიძის ქუჩა № 40). საზღვრები: აბოვიანის ქუჩის კენტი ნომრები № 3-დან ბოლომდე, ლესელიძის ქუჩა, რიყინაშვილის შესახვევი; თუმანიანის ქუჩა, თუმანიანის შესახვევი, აზიზბეგოვის ქუჩა № 10-დან № 26-მდე, პურის მოედანი, აზირას შესახვევი კვარტალის გადაკვეთით № 2-დან აბოვიანის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის შენობაში (ბამბის რიგი № 7). საზღვრები: თუმანიანის ქუჩა № 2-დან № 18-მდე, მოედანი, მდინარე მტკვარი სიონის ქუჩა № 32-მდე, კვარტალის გადაკვეთით № 32 და № 34 სახლებთან რიყინაშვილის გასავლით, რიყინაშვილის ქუჩა თუმანიანის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი სამსხმელო მექანიკური ქარხნის შენობაში (ერეკლეს მოედანი № 3). საზღვრები: ლესელიძის ქუჩა № 32-დან რიყინაშვილის გასავლამდე, რიყინაშვილის გასავალი, კვარტალის გადაკვეთით სიონის ქუჩა № 32 და № 34 სახლებს შუა მდინარე მტკვარი ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე, ბარათაშვილის ქუჩა, შავთელის ქუჩა, ერეკლეს მოედანი ერეკლეს ქუჩამდე, ერეკლეს ქუჩა № 1 და № 3 სახლებს შუა ტყავის ჩიხის კენტი ნომრები ლესელიძის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი პირველი მუსიკალური სკოლის შენობაში (ენგელსის ქუჩა № 14). საზღვრები: ბოტანიკური ბაღის გვირაბის შესავალი, ენგელსის ქუჩა № 28-დან დასაწყისამდე, პურის მოედანი № 3, ასკანის ქუჩა, ქვემოგომის ქუჩა № 2, აზიზბეგოვის შესახვევი, კოჯრის მთების ფერდობები გვირაბთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა მე-3 საშუალო სკოლის შენობაში (ენგელსის ქუჩა № 28). საზღვრები: ილია ჭავჭავაძის ქუჩა № 20-დან ენგელსის ქუჩამდე, ენგელსის ქუჩა № 1-დან № 17-მდე, პურის მოედანი, კაშენის ქუჩა, ჩიხლაძის შესახვევი, ახოსპირელის ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი შაუმიანის სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში (ალავერდოვის ქუჩა № 7). საზღვრები: ალავერდოვის მოედანი, პირველი მაისის ქუჩა, ხოდაშენის ქუჩა, აზირას ქუჩა, აბოვიანის ქუჩა კვარტალის გადაკვეთით აზირას შესახვევამდე, კაშენის ქუჩა, ჩიხლაძის შესახვევი, ახოსპირელის ქუჩა ალავერდოვის მოედანთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლის შენობაში (პირველი მაისის ქუჩა № 10) საზღვრები: ლესელიძის ქუჩა № 1-დან პირველი მაისის ქუჩამდე, 1-ლი მაისის ქუჩა, ალავერდოვის მოედანი, ლერმონტოვის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის ქუჩა № 2-დან № 18-მდე ლესელიძის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 35-ე საშუალო სკოლის შენობაში (ლესელიძის ქუჩა № 17). საზღვრები: ლესელიძის ქუჩა № 11-დან № 41-მდე, აბოვიანის ქუჩა, აზირას ქუჩა, ხოდაშენის ქუჩა, ივანიძის ქუჩა 1-ლი მაისის ქუჩასთან შეერთებამდე, 1-ლი მაისის ქუჩა № 2-დან № 16-მდე.

საარჩევნო უბანი მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტის შენობაში (ივანიძის ქუჩა № 19). საზღვრები: შავთელის ქუჩის ლუწი ნომრები № 20-მდე, ჩახრუხაძის ქუჩა, ავლევის შესახვევი, საზოგადოების ქუჩა № 8 აკოპ აკოპიანის ქუჩაზე გასვლით, აკოპ აკოპიანის ქუჩა, ჩალაუბნის შესახვევი ვერცხლის ქუჩაზე გასვლით, ვერცხლის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა № 30-მდე, ტყავის ჩიხის ლუწი ნომრები, ერეკლეს ქუჩა, ერეკლეს მოედანი შავთელის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" შენობაში (შავთელის ქუჩა № 17). საზღვრები: მილიციის ქუჩა № 1-დან № 31-მდე, ჩახრუხაძის ქუჩა № 10-დან № 24-მდე, ავლევის შესახვევი საზოგადოების ქუჩამდე, ვერცხლის შესახვევის კენტი ნომრები, ვერცხლის ქუჩა მილიციის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი № 32 საბავშვო ბაღის შენობაში (აკოპ აკოპიანის ქუჩა № 2). საზღვრები: ვერცხლის შესახვევი, საზოგადოების ქუჩა № 2 და № 4, აკოპ აკოპიანის ქუჩა № 4-მდე, კვარტალის გადაკვეთით ვერცხლის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა, მამაცაშვილის ქუჩა, ავლევის ქუჩა ვერცხლის შესახვევთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3). საზღვრები: პუშკინის ქუჩა დასაწყისიდან ვერცხლის ქუჩამდე, ვერცხლის ქუჩა № 42-დან № 58-მდე, ავლევის ქუჩა, მამაცაშვილის ქუჩა ლესელიძის ქუჩაზე გასვლით, ლესელიძის ქუჩა პუშკინის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის შენობაში (ბარათაშვილის ქუჩა 8/10). საზღვრები: ბარათაშვილის ქუჩის კენტი ნომრები შავთელის ქუჩამდე, ლუწი ნომრები მთლიანად, შავთელის ქუჩა № 22-მდე, ჩახრუხაძის ქუჩა, მილიციის ქუჩა, პუშკინის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 36-ე საშუალო სკოლის შენობაში (პრესის ქუჩა № 20). საზღვრები: გოგჩის ქუჩა, სანაპირო ქუჩა მტკვრის ქუჩამდე, ორბელიანის ქუჩა, ორბელიანის შესახვევი, პრესის ქუჩა, რუსის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა გოგჩის ქუჩასთან შეერთებამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 34-ე საშუალო სკოლის შენობაში (ვოლოდარსკის ქუჩა № 5). საზღვრები: ვოლოდარსკის ქუჩა, ხიდის ქუჩა, მდინარე მტკვარი ბარათაშვილის ქუჩამდე, სანაპირო, ორბელიანის ქუჩა, მტკვრის ქუჩა, ორბელიანის შესახვევი ვოლოდარსკის ქუჩასთან შეერთებამდე.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის საარჩევნო უბნები

(26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან)

ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა შემდეგი საარჩევნო უბნები, რომლებიც საერთო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

საარჩევნო უბანი ვაჟთა მე-40 სკოლის შენობაში (ბელლეთის ქუჩა № 12). საზღვრები: კიბალჩიჩის ხევის მარჯვენა მხარე, რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა, ხიდიდან ბაბისხევის ქუჩის დასაწყისამდე, ბელლეთის ქუჩის დაყოლებით საბავშვო ბაღის ჩათვლით, შილდის ქუჩა № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, ახალუბნის ქუჩა № 10-დან № 6-მდე ჩათვლით, შაქრიანის ქუჩა № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, ოძისის ქუჩა № 4-დან № 2-მდე, მე-2 გურჯაანის ქუჩა № 14-დან მარცხნივ კიბალჩიჩის ხევამდე.

საარჩევნო უბანი № 17 საბავშვო ბაღის შენობაში (გალავნის ქუჩა № 9). საზღვრები: კიბალჩიჩის ხევის მარჯვენა მხარე მთელი კავთისხევის და ბაბისხევის ქუჩების ჩათვლით, ბელლეთის ქუჩა № 21-დან ბოლომდე, გალავნის ქუჩის მარჯვენა მხარე № 2-დან ბოლომდე ყველა ლუწი ნომერი ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიის ჩათვლით, მარცხნივ მახათის მთის ფერდობით კავთისხევის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 32-ე სკოლის შენობაში (კაიშაურის ქუჩა № 3). საზღვრები: ოძისის ქუჩა № 1-დან № 3-მდე, შაქრიანის ქუჩა № 8-დან № 2-მდე, ახალუბნის ქუჩა № 5-დან № 15-მდე, შილდის ქუჩა № 1-დან № 17-მდე ჩათვლით, გალავნის ქუჩა № 1-დან ბოლომდე, ბეთანიის ქუჩის დაყოლებით ყველა ლუწი ნომერი და მე-2 გურჯაანის ქუჩა № 46-დან № 16-მდე ჩათვლით ოძისის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი თბილისწყალსადენის საქაჩავი სადგურის შენობაში (გუმბრის ქუჩა № 1). საზღვრები: ურიცკის ქუჩა კულტურისა და დასვენების პარკის კედლიდან რკინიგზის ლიანდაგამდე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 23 იანვარს მოსკოვში ხელი მოაწერეს 1954 წლის საქონელბრუნვის ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარეს შორის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას, და ოქმს მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის საქონლის მიწოდების შესახებ 1950 წლის 14 თებერვლის შეთანხმებით მიცემული კრედიტის ანგარიშში.

ხელმოწერილი ოქმები ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირიდან ჩინეთისათვის ფართო ნომენკლატურის საქონლის, მათ შორის მეტალურგიული, სამთამადნო და ენერგეტიკული მოწყობილობების, ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საგზაო და სამშენებლო მანქანების, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინის, ნავთობის პროდუქტებისა და ქიმიური საქონლის მიწოდებას.

ჩინეთი საბჭოთა კავშირს მიაწვდის ფერად ლითონებს, სოიას, ბრინჯს, არაქისს, მცენარეულ ზეთს, ხორცს, ჩაის, თამბაქოს, ხილს, მატყლს, ყაჯს, აბრეშუმის ქსოვილებს, ტყავის ნედლეულსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა მხრივ ოქმს ხელი მოაწერეს საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ს. ა. ბორისოვმა, ხოლო ჩინეთის მხრიდან — სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს

ბერლინი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა თავის რეზიდენციაში ნიდერშენჰაუზენის სასახლეში.

მიღებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, პრეზიდენტის პირადი კანცელარიის უფროსი — სტატს მდივანი ოტო ვინცერი და საოქმო განყოფილების უფროსი ფერდინანდ ტუნი.

ვ. მ. მოლოტოვს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ვ. ს. სემიონოვი.

ვ. მ. მოლოტოვი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა ოტო გროტევოლმა

ბერლინი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტევოლს. მიღებას დაესწრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ლოთარ ბოლცი.

ვ. მ. მოლოტოვს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ვ. ს. სემიონოვი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა გვირგვინით შეამკო საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინის ტრეპტოვ-პარკში

ბერლინი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ბერლინის ტრეპტოვ-პარკში გვირგვინით შეამკო ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

ძეგლის გვირგვინით შემკობას დაესწრნენ: ა. ა. გრომიკო, ი. ა. მალიკი, ვ. ს. სემიონოვი, გ. მ. პუშკინი, ლ. ფ. ილიჩევი, გ. ნ. ზარუბინი, ი. ი. ილიჩევი, ს. ა. ვინოგრადოვი, ა. ა. სობოლევი, ნ. ტ. ფედორენკო და დ. ა. ჟუკოვი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი

ბერლინი, 24 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს.

ბერლინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სულით და გულით მიესალმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირს. მას მიაჩნია, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ეს შეხვედრა მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საკითხის მშვიდობიან და დემოკრატიულ გადაჭრას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხის სურვილის სრული შესაბამისობით გამოთქვამს იმედს, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ბერლინის თათბირის მეოხებით გერმანია მიუახლოვდება საზავო ხელშეკრულების დადებას და ერთიან, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაერთიანებას. ამ საკითხის დადებითად გადაჭრა შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს, ისევე როგორც ევროპის ყველა სხვა ხალხის ინტერესებს.

გერმანელ ხალხს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი ყველა იმ საკითხის განხილვის დროს, რომლებიც გერმანიას შეეხება. გარდა ამისა, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაჭრა შეუძლებელია, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო გერმანელმა ხალხმა. იმ ფაქტის გამო, რომ ახლანდელი გერმანია არ წარმოადგენს ერთიან სახელმწიფოს, აუცილებელია, რათა თათბირში მონაწილეობა მიიღონ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლებმა.

ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირს მიმართავს თხოვნით ნება დართოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებსა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა თათბირზე გერმანიის საკითხის განხილვაში. იგი დარწმუნებულია, რომ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლების მონაწილეობა ყველა საკითხის განხილვაში, რომლებიც გერმანიას შეეხება, ხელს შეუწყობს თათბირის წარმატებას.

ბერლინი, 1954 წ. 24 იანვარი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ბოლცი".

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის წინ

გერმანელი ხალხის მოთხოვნები

ბერლინი, 23 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, 23 იანვრისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 8,5 მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი გერმანელი ხალხის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მშვიდობიანად გადაწყდეს გერმანიის პრობლემა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ გერმანიის საკითხის განხილვაში ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირზე. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სახელზე მოსახლეობის ყველა ფენიდან განუწყვეტლივ მოდის რეზოლუციები, წერილები და დეპეშები, რომლებშიც მოითხოვენ გაიგზავნონ გერმანელი წარმომადგენლები ოთხი სახელმწიფოს თათბირზე.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის საარჩევნო უბნები

(დასასრული)

ყველა კენტი ნომერი, რკინიგზის ლიანდაგის მარჯვნივ, კულტურისა და დასვენების პარკის კედელი რაბათის ქუჩის № 16 და № 18 სახლებიანად, ხივის შესახვევის ყველა კენტი ნომერი, ერევნის ქუჩა ურიცკის ქუჩის კუთხემდე.

საარჩევნო უბანი საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორის შენობაში (ლომაურის ქ. № 1). საზღვრები: ურიცკის ქუჩა № 1-დან ერევნის ქუჩის კუთხემდე, ერევნის ქუჩა № 16-დან № 6-მდე, ხივის შესახვევი № 24-დან № 20-მდე, კაგიზმანის შესახვევის ყველა კენტი ნომერი, მესხიშვილის ქუჩა ბალაჯარის ქუჩამდე, ბალაჯარის ქუჩის ყველა ლუწი ნომერი და ლომაურის ქუჩის ყველა სახლი.

საარჩევნო უბანი ქუჩებში მოძრაობის მომწესრიგებელი რაზმის შენობაში (ალვანის ქ. № 2). საზღვრები: ნამგლის ქუჩის ყველა სახლი, ვახტანგ VI-ის ქუჩა № 1-დან № 5-მდე ჩათვლით, ბაჩანას ქუჩა № 6-დან № 2-მდე, ავლაბრის ქუჩა № 12-დან № 2-მდე ჩათვლით, იორის ქუჩა № 9-დან ბარათაშვილის აღმართამდე ყველა კენტი ნომერი, კალიაევის კლდის გაყოლებით ალვანის ქუჩის № 1-მდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 43-ე სკოლის შენობაში (ვახტანგ VI-ის ქ. № 34). საზღვრები: ბალაჯარის ქუჩის ყველა კენტი ნომერი, მესხიშვილის ქუჩა № 36-დან № 16-მდე ჩათვლით, ავლაბრის გასავლის ყველა ლუწი ნომერი, ხიდისთავის შესახვევის ყველა ლუწი ნომერი, გელათის ქუჩა № 10-დან № 2-მდე, ავლაბრის ქუჩა № 5-დან ბაჩანას ქუჩამდე ყველა კენტი ნომერი, ბაჩანას ქუჩის კენტი ნომრები ვახტანგ VI-ის ქუჩამდე, ვახტანგ VI-ის ქუჩის ლუწი ნომრები ბალაჯარის ქუჩის კუთხემდე.

საარჩევნო უბანი არტელ „საქტყეპროდუქტის“ შენობაში (გელათის ქუჩა № 13). საზღვრები: ავლაბრის ქუჩა № 1-დან № 3-მდე ჩათვლით, გელათის ქუჩა № 1-დან № 5-მდე, ხიდისთავის შესახვევის ყველა კენტი ნომერი, ეჩმიაძინის ქუჩა № 11-დან ბარათაშვილის აღმართამდე, ალაზნის ქუჩა ქვის კიბემდე აღმართზე, იორის ქუჩა № 30-დან ავლაბრის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 30-ე სკოლის შენობაში (ავლაბრის ქ. № 34). საზღვრები: მესხიშვილის ქუჩა № 5-დან № 35-მდე ჩათვლით, კაგიზმანის შესახვევის ლუწი ნომრები, ხივის შესახვევი № 18-დან № 2-მდე, რაბათის ქუჩა № 14-დან № 2-მდე ჩათვლით, 26 კომისრის ქუჩა № 14-დან № 2-მდე ჩათვლით მესხიშვილის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი სოცუზრუნველყოფის რაიონული განყოფილების შენობაში (შაუმიანის მოედანი № 4). საზღვრები: ეჩმიაძინის ქუჩა № 20-დან № 8-მდე ჩათვლით, ავლაბრის გასავლის ყველა კენტი ნომერი, მესხიშვილის ქუჩა 26 კომისრის ქუჩამდე, 26 კომისრის ქუჩა № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, არტო მიქელოვის ქუჩა №1-დან № 11-მდე ჩათვლით, რობესპიერის ქუჩა № 8-დან № 2-მდე ჩათვლით, შაუმიანის მოედანი № 4-დან № 8-მდე, ღვინის აღმართი № 34-დან № 28-მდე და № 12-დან № 8-მდე ჩათვლით, კალიაევის ქუჩა № 42-დან № 36-მდე ბარათაშვილის აღმართის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 36-ე სკოლის შენობაში (გურჯაანის ქ. № 1). საზღვრები: რაბათის ქუჩა № 1-დან რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთამდე, რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით ობსერვატორიის ქუჩის ყველა ლუწი ნომერი, დმანისის ქუჩა № 44-დან № 2-მდე ჩათვლით რაბათის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 26-ე სკოლის შენობაში (მარტყოფის ქ. № 7). საზღვრები: დმანისის ქუჩა № 21-დან ბოლომდე, რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთამდე, რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა ბეთანიის ქუჩის ყველა კენტი ნომერი ბოლომდე ხევის დაყოლებით, ყველა საცხოვრებელი სახლის, მათ შორის რკინიგზის ჯიხურის ჩათვლით, რკინიგზის ლიანდაგის გადაჭრით, ჩუბინიძის ქუჩა №28-დან № 12-მდე, პიონერის ქუჩა № 12-დან № 8-მდე ჩათვლით, პირველი ნასაკირალის ქუჩა № 14-დან № 10-მდე ჩათვლით, პირველი მარტყოფის ქუჩის ორივე მხარე № 11-დან № 17-მდე, ჩუბინიძის ქუჩა № 6-დან № 2-მდე ჩათვლით დმანისის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი პიონერთა სახლის შენობაში (გურჯაანის ქ. № 22). საზღვრები: დმანისის ქუჩა № 1-დან № 19-მდე ჩათვლით, ჩუბინიძის ქუჩა № 1-დან № 17-მდე, 1-ლი მარტყოფის ქუჩა № 6-დან № 16-მდე ჩათვლით, მახათას ქუჩა № 14-დან № 8-მდე, რობესპიერის ქუჩა № 24 და № 22, გურჯაანის ქუჩა № 16-დან № 2-მდე ჩათვლით, 26 კომისრის მოედანი № 2 და № 5 დმანისის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 24-ე სკოლის შენობაში (ფიოლეტოვის ქ. № 16). საზღვრები: რობესპიერის ქუჩა № 1-დან № 3-მდე ჩათვლით, არტო მიქელოვის ქუჩა № 10-დან № 2-მდე ჩათვლით, 26 კომისრის ქუჩა სკვერის მხარე, 26 კომისრის მოედანი, გურჯაანის ქუჩა № 1-დან № 7-მდე, რობესპიერის ქუჩა № 13-დან № 15-მდე ჩათვლით, მახათას ქუჩა № 9-დან № 19-მდე, 1-ლი მარტყოფის ქუჩა № 3-დან № 7-მდე, 1-ლი ნასაკირალის ქუჩა, პიონერისა და პროვიანტის ქუჩების დაყოლებით, კრენკელის ქუჩა № 4 და № 2, ფიოლეტოვის ქუჩა № 6-დან № 2-მდე ჩათვლით რობესპიერის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი 72-ე საბავშვო ბაღის შენობაში (ლენინის ქუჩა № 23). საზღვრები: ფიოლეტოვის ქუჩა № 1-დან № 11-მდე ჩათვლით, კრენკელის ქუჩა № 1-დან № 9-მდე ჩათვლით, ნუხის ქუჩა № 22-დან № 6-მდე, შემახის ქუჩა № 10-დან № 2-მდე, ალიხანიანის ქუჩაზე გასვლით № 2-ში, შაუმიანის ქუჩა № 10-დან № 2-მდე ჩათვლით შაუმიანის მოედნისა და ფიოლეტოვის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 27-ე სკოლის შენობაში (კრენკელის ქუჩა № 13). საზღვრები: კრენკელის ქუჩა № 11 და № 13, კროპოტკინის ქუჩა № 14-დან № 10-მდე, ბაიდარის ქუჩა № 9-დან ბოლომდე, ფოსტის ქუჩა № 16-დან № 2-მდე ჩათვლით, შაუმიანის ქუჩა № 32-დან № 12-მდე ჩათვლით, მახაჩკალის ქუჩა № 1, შემახის ქუჩის კენტი ნომრები, ნუხის ქუჩის ყველა კენტი ნომერი კრენკელის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 31-ე სკოლის შენობაში (კრენკელის ქუჩა № 17). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა № 24, ფოსტის ქუჩა № 1-დან № 21-მდე ჩათვლით, ბაიდარის ქუჩა № 32-დან № 14-მდე, კროპოტკინის ქუჩა № 13-დან № 17-მდე, კრენკელის ქუჩა № 15-დან № 27-მდე ჩათვლით, დაღისტნის ქუჩა № 14-დან № 2-მდე ჩათვლით, ქართველთა ქუჩით კახეთის გასასვლელით კახეთის ხევით გუთნის ქუჩამდე № 2, შაუმიანის ქუჩაზე გასვლით.

საარჩევნო უბანი 22-ე საბავშვო ბაღის შენობაში (კრენკელის ქ. № 14). საზღვრები: პროვიანტის ქუჩის მარჯვენა მხარე, პიონერის ქუჩა ჩუბინიძის ქუჩის გადაკვეთამდე, ჩუბინიძის ქუჩა რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით, ლიანდაგის მარჯვენა მხარე კახეთის ხევის გადაკვეთამდე ხევის დაყოლებით კახეთის გასასვლელსა და ქართველთა ქუჩაზე გასვლით, დაღისტნის ქუჩა № 1-დან № 11-მდე ჩათვლით, კროპოტკინის ქუჩა პროვიანტის ქუჩის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი წითელი ჯვრის რაიკომის შენობაში (შაუმიანის ქ. № 3). საზღვრები: ღვინის აღმართი № 1-დან ბოლომდე, შაუმიანის მოედანი № 1, შაუმიანის ქუჩა № 1-დან საზაფხულო კინოთეატრამდე, მაჭრის შესახვევიდან ფიგნერის ქუჩამდე, ფიგნერის ქუჩის ლუწი ნომრები მეტეხის ქუჩამდე, მეტეხის ქუჩა № 16-დან № 10-მდე ჩათვლით, ჩეხოვის ქუჩა № 14-დან № 2-მდე ჩათვლით, მეორე მეტეხის შესახვევი № 10-დან № 6-მდე, მეტეხის აღმართი № 2 ღვინის აღმართის გადაკვეთამდე.

საარჩევნო უბანი ქალთა 29-ე სკოლის შენობაში (შაუმიანის ქუჩა № 23). საზღვრები: მეტეხის ხიდიდან ბახვალის ქუჩით მეტეხის აღმართი № 1, მეტეხის მეორე შესახვევი № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, ჩეხოვის ქუჩა № 1-დან № 9-მდე ჩათვლით, მეტეხის ქუჩა № 8-დან № 4-მდე, მეტეხის შესახვევი № 13-დან მდინარე მტკვრის კლდის აყოლებით მეტეხის ხიდამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 33-ე სკოლის შენობაში (ფიგნერის ქ. № 21). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა მაჭრის შესახვევის კუთხიდან ყველა კენტი ნომერი აბანო № 4-ის სკვერამდე, კლდის დაყოლებით მდინარე მტკვრამდე, მდინარე მტკვრის გაყოლებით მაჭრის შესახვევის ხევამდე, ხევით მეტეხის შესახვევამდე, მეტეხის შესახვევის ლუწი ნომრები მეტეხის ქუჩის კუთხემდე, მეტეხის ქუჩა № 3-დან ფიგნერის ქუჩამდე, ფიგნერის ქუჩა მეტეხის ქუჩის კუთხიდან ყველა კენტი ნომერი საზაფხულო კინოთეატრამდე, მაჭრის შესახვევი შაუმიანის ქუჩამდე.

საარჩევნო უბანი უსინათლოთა სკოლის შენობაში (გუთნის ქუჩა № 27). საზღვრები: შაუმიანის ქუჩიდან კახეთის ხევის აყოლებით კრენკელის ქუჩის გადაკვეთამდე, თელავის ქუჩაზე გასვლით, თელავის ქუჩა კრენკელის ქუჩის კუთხიდან შაუმიანის ქუჩამდე ყველა ლუწი ნომერი, შაუმიანის ქუჩა № 26-დან № 36-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი № 18 საბავშვო ბაღის შენობაში (წინანდლის ქ. № 12). საზღვრები: წინანდლისა და გუთნის ქუჩების ყველა ლუწი ნომერი გუთნის ქუჩით თელავის ქუჩამდე, თელავის ქუჩა № 27-დან ზევით ყველა კენტი ნომერი, კრენკელის ქუჩა ხევამდე, ხევის აყოლებით რკინიგზის ლიანდაგამდე, რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით კასპის ქუჩამდე წინანდლის ქუჩაზე გასვლით ქალაქის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიის ყველა მცხოვრების ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა 27-ე სკოლის შენობაში (შაუმიანის ქ. № 40). საზღვრები: თელავის ქუჩა № 1-დან № 25-მდე, გუთნის ქუჩა № 23-დან № 57-მდე, წინანდლის ქუჩის დაყოლებით ლუწი ნომრები შაუმიანის ქუჩამდე, შაუმიანის ქუჩა № 40-დან № 55-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 25-ე საშუალო სკოლის შენობაში (შაუმიანის ქ. № 55). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა № 53, წინანდლის ქუჩა ბოჭორმის ქუჩის კუთხიდან ქალაქის პირველი საავადმყოფოს ტერიტორიამდე, საბადურის ქუჩის ყველა სახლი, წინანდლის ქუჩიდან კასპის ქუჩამდე, კასპის ქუჩით კეჩის ყველა სახლი აწყურის ქუჩამდე, შავი ზღვის ქუჩიდან ბოჭორმის ქუჩამდე, ბოჭორმის ქუჩა წინანდლის ქუჩის კუთხემდე (შაუმიანის ქუჩა № 53).

საარჩევნო უბანი ორთაჭალჰესმშენის შენობაში (300 არაგველთა აღმართი). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა № 37-დან ჭარის შესახვევის კუთხემდე, ჭარის შესახვევის ყველა კენტი ნომერი 300 არაგველთა აღმართამდე, 300 არაგველთა აღმართის ყველა კენტი ნომერი ორთაჭალჰესმშენის ტერიტორიამდე, მდინარე მტკვრის ნაპირის კლდის აყოლებით 300 არაგველთა აღმართის დასაწყისის გადაკვეთამდე და შაუმიანის ქუჩა № 37.

საარჩევნო უბანი ქალთა 28-ე საშუალო სკოლის შენობაში (შაუმიანის ქ. № 51). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა წინანდლის ქუჩის კუთხიდან ბოჭორმის ქუჩამდე, ქალთა 28-ე სკოლის ეზოს ზღუდის გაყოლებით, ბოჭორმის ქუჩა 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების სანერგის ზღუდის გაყოლებით, დოლაბაურის ხევის გადაკვეთამდე, ხევის დაყოლებით მტკვრის ნაპირამდე, მტკვრის აყოლებით ორთაჭალჰესის მშენებლობის ტერიტორიამდე 300 არაგველთა აღმართზე გასვლით, 300 არაგველთა აღმართის ლუწი ნომრები ჭარის შესახვევამდე, ჭარის შესახვევის ყველა ლუწი ნომერი შაუმიანის ქუჩამდე, შაუმიანის ქუჩა № 47-დან № 51-მდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი ქალთა 26-ე საშუალო სკოლის შენობაში (დაღისტნის შესახ. № 7). საზღვრები: რკინიგზიდან გუთნის ხევის აყოლებით საქპორტრესტის საბჭოთა მეურნეობასთან გასვლით, მახათას მთის ფერდობების გაყოლებით ნიაღვრის ხევამდე, საბანაკო დასახლების ყველა სახლის ჩათვლით რკინიგზის ლიანდაგამდე, რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით გუთნის ხევის გადაკვეთამდე, სასაფლაოს ტერიტორიის, მელაანის ქუჩისა და შესახვევის ყველა სახლისა და გუჯარეთის I და II ქუჩების ჩათვლით.

საარჩევნო უბანი (კოშკოვანის ქ. № 26). საზღვრები: აწყურის ქუჩა № 2-დან ბოლომდე ყველა ლუწი ნომერი, ნიაღვრის ხევის აყოლებით რკინიგზის ლიანდაგამდე, კობარეთის ქუჩის ყველა სახლი, კასპის ქუჩა კობარეთის ქუჩის კუთხიდან აწყურის ქუჩის კუთხემდე № 2.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის შენობაში (შირაქის ქ. № 20). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა შავი ზღვის ქუჩის კუთხიდან მაღლა ყველა კენტი ნომერი აწყურის ქუჩამდე, მარჯვნივ აწყურის ქუჩის ყველა კენტი ნომერი ნიაღვრის ხევამდე, ხევის დაყოლებით შორაპნის ქუჩამდე, შორაპნის ქუჩის ლუწი ნომრები ცუცხვათის ქუჩამდე, ცუცხვათის ქუჩის ლუწი ნომრები შირაქის ქუჩამდე, შირაქის ქუჩა № 24-დან გარეკახეთის ქუჩამდე შაუმიანის ქუჩაზე გასვლით, შაუმიანის ქუჩა სარემონტო კანტორის სამეურნეო ეზოდან კერამიკული კომბინატის სახლამდე ჩათვლით.

საარჩევნო უბანი მეორე რაიონის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს შენობაში (შაუმიანის ქ. № 67). საზღვრები: შაუმიანის ქუჩა შავი ზღვის ქუჩის კუთხიდან ყველა კენტი ნომერი ნავთობბაზის ხევამდე ტრამვაის პარკის ტერიტორიის ჩათვლით, ხევის დაყოლებით მდინარე მტკვრამდე, დოლაბაურის ხევის აყოლებით ბოჭორმის ქუჩის კუთხემდე, შავი ზღვის ქუჩაზე გასვლით, შაუმიანის ქუჩა № 61.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 42-ე საშუალო სკოლის შენობაში (შაუმიანის ქუჩა № 90). საზღვრები: შაუმიანის ქ. № 90-დან ნავთობის ავზების ხევამდე, ხევის დაყოლებით ტრამვაის მარყუჟამდე ნავთლუღის ქუჩაზე გასვლით კეჩის სახლები ნავთლუღის ქუჩაზე ფიჭვნარში გასვლით საქონლის ქუჩაზე ხევის გადაკვეთით ნავთობის ავზებთან, შორაპნის ქუჩის კენტი ნომრები ცუცხვათის ქუჩის კუთხემდე, ცუცხვათის ქუჩის კენტი ნომრები შირაქის ქუჩამდე ვაჟთა 42-ე სკოლის უბნის ჩათვლით გარეკახეთის ქუჩით შაუმიანის ქუჩამდე № 90.

საარჩევნო უბანი № 5 საბავშვო ბაღის შენობაში (ბაღდადის ქ. № 8). საზღვრები: დოდაშვილის მოედნის სკვერიდან რთველაძის ქუჩით დოდაშვილის ქუჩის კუთხემდე, გასასვლელით რთველაძის ქუჩის აღმოსავლეთი ნაწილის ფერდობების ყველა სახლი ნავთლუღის ქუჩის გასვლით ტრამვაის მარყუჟთან, ნიაღვრის ხევი მტკვრის ნაპირამდე, მდინარის დაყოლებით სანაგვემდე ბაღდათის ქუჩის ბოლოში, დაღმართით დოდაშვილის მოედნის სკვერამდე.

საარჩევნო უბანი ვაჟთა 38-ე საშუალო სკოლის შენობაში (ჩკალოვის ქ. № 3). საზღვრები: რთველაძის ქუჩის მარჯვენა მხარე 5 დეკემბრის ქუჩის კუთხიდან დოდაშვილის ქუჩის კუთხემდე გასასვლელით რკინიგზის ჩიხამდე მარჯვნივ ყველა სახლი, ნავთლუღის ხევის გასვლით კომკავშირის ქუჩის ხიდამდე, 5 დეკემბრის მე-3 შესახვევის ლუწი ნომრები 5 დეკემბრის ქუჩამდე, 5 დეკემბრის ქუჩის ლუწი ნომრები 5 დეკემბრის მე-2 შესახვევის კუთხემდე (ქალთა 33-ე სკოლასთან), ამ შესახვევის დაყოლებით მტკვრის ნაპირამდე, მტკვრის გაყოლებით დაღმართამდე ბაღდათის ქუჩის ბოლოში, დოდაშვილის მოედანზე გასვლით რთველაძის ქუჩისა და 5 დეკემბრის ქუჩის კუთხეში.

საარჩევნო უბანი ქალთა 33-ე საშუალო სკოლის შენობაში (5 დეკემბრის ქ. № 35). საზღვრები: 5 დეკემბრის ქუჩა ქალთა 33-ე სკოლის შენობის კუთხიდან ყველა კენტი ნომერი 5 დეკემბრის მე-3 შესახვევამდე, 5 დეკემბრის მე-3 შესახვევის ყველა კენტი ნომერი კომკავშირის ქუჩის ხიდამდე, კომკავშირის ქუჩის ყველა კენტი ნომერი ტაბიძის შესახვევამდე, ტაბიძის შესახვევის ყველა ლუწი ნომერი სასაკლაოს ქუჩამდე, სასაკლაოს ქუჩის ლუწი ნომრები 5 დეკემბრის ქუჩის ხიდამდე, ხევის დაყოლებით მტკვრამდე, მტკვრის გაყოლებით 5 დეკემბრის მე-2 შესახვევის ბოლომდე, ამ შესახვევის აყოლებით ქალთა 33-ე სკოლის შენობამდე.

საარჩევნო უბანი მე-15 სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (კომკავშირის ქ. № 22). საზღვრები: კომკავშირის ქუჩის ხიდიდან ნავთლუღის ხევის აყოლებით ბაზრის ქუჩაზე გასვლით სასაფლაოსთან საფერმენტაციო ქარხნის სამხრეთი ზღუდის გაყოლებით სამგორის ქუჩის გადაჭრით ფერდობი და გასასვლელი სასპორტო მოედანთან, სასპორტო მოედნით კომკავშირის ქუჩამდე, კომკავშირის ქუჩის ყველა ლუწი ნომერი ამავე ქუჩაზე მდებარე ხიდამდე.

საარჩევნო უბანი ფეხსაცმლის ფაბრიკის კლუბში (ბოგდან ხმელნიცკის ქ.). საზღვრები: სასაკლაოს ქუჩის და ტაბიძის შესახვევის კუთხიდან ტაბიძის შესახვევის ყველა კენტი ნომერი კომკავშირის ქუჩამდე, კომკავშირის ქუჩის კენტი ნომრები, სასპორტო მოედნის გავლით ფეხსაცმლის ფაბრიკის გასასვლელამდე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის გადაჭრით ფეხსაცმლის ფაბრიკის ბარაკები მტკვრის ნაპირისაკენ, მტკვრის აყოლებით ხევამდე 5 დეკემბრის ქუჩის ხიდთან გასვლით, სასაკლაოს ქუჩის კენტი ნომრები ტაბიძის შესახვევის კუთხემდე.

საარჩევნო უბანი ქაღალდის ფაბრიკის შენობაში (ბოგდან ხმელნიცკის ქ.). საზღვრები: გარდაბნის ქუჩისა და ფეხსაცმლის ფაბრიკის სტანდარტულ სახლებთან გასასვლელის კუთხიდან ამ მოედნის ყველა სტანდარტული სახლი, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქაღალდის ფაბრიკისა და რადიოკვანძის ტერიტორიის ზემო საზღვრიდან ხევის დაყოლებით, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის გადაკვეთით მტკვრის ნაპირამდე, ფეხსაცმლის ფაბრიკის ბარაკებამდე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩისაკენ ფეხსაცმლის ფაბრიკის ზემო ნაკვეთზე მდებარე სტანდარტულ სახლებთან გასვლით.

საარჩევნო უბანი (საბარგო დაბა, ყვარლის ქუჩა № 84). საზღვრები: მთელი საბარგო დაბა, რკინიგზის ხიდიდან ნიაღვრისხევის აყოლებით ახალი დაბის სახლებამდე, ახალი დაბის ნაკვეთი სამხრეთი საზღვრის გაყოლებით წალენჯიხის (ყოფ. სამხერხაო) ქუჩის ყველა სახლი, მარჯვენა საბარგო დაბის ყველა სახლის ჩათვლით ყოფილი სამხერხაო ქარხნის ტერიტორიის გავლით კახეთის გზატკეცილზე, გზატკეცილით საბარგო ქუჩასთან მდებარე ხიდამდე.

საარჩევნო უბანი „სოიუზტორგტრანსის“ ავტობაზის შენობაში (ძველი სასაფლაოს ქ. № 13). საზღვრები: რკინიგზაზე გადასასვლელი საცალფეხო ხიდიდან ნავთლუღისხევის დაყოლებით ძველი სასაფლაოს ქუჩის ბოლომდე, რკინიგზის ჩიხთან გასვლით ყველა სახლი საბარგო ქუჩის დასაწყისამდე ფიჭვნართან შაუმიანის ქუჩაზე, ნიაღვრისხევის აყოლებით რკინიგზის ხიდის გაყოლებით საბარგო ქუჩისაკენ, რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით ყველა სახლი რკინიგზის საბავშვო ბაღის მხარეს რკინიგზის გადასასვლელ ხიდამდე.

საარჩევნო უბანი რკინიგზის ვაჟთა მე-9 სკოლის შენობაში (საბარგო დაბა) საზღვრები: წალენჯიხის (ყოფ. სამხერხაოს), ტოლოშის (ყოფ. გარდაბნის), ყვარლის (ყოფ. ფოილოს), კაკაბეთის (ყოფ. ეილახის), მესხეთის (ყოფ. ხევის) ქუჩების ყველა სახლი ნავთლუღისხევის დაყოლებით ნავთლუღის მარცხენა დაბის ჩათვლით, კახეთის გზატკეცილზე გასვლით, გზატკეცილით ყოფილი სამხერხაო ქარხნის ტერიტორიის გადაკვეთამდე ქვემოთ ის სახლები, რომლებიც ესაზღვრება წალენჯიხის ქუჩის უბნებს.

საარჩევნო უბანი ნავთლუღის რკინიგზის კვანძის კონდუქტორთა რეზერვის შენობაში (ნავთლუღის დაბა). საზღვრები: მთელი ნავთლუღის დაბა რკინიგზის საცალფეხო ხიდიდან ნავთლუღისხევის აყოლებით, ყოფილი ბოშათა დაბა, მახათას მთის ფერდობები ხევის დაყოლებით კახეთის გზატკეცილამდე, გზატკეცილით რკინიგზის საცალფეხო ხიდამდე.

საარჩევნო უბანი წისქვილკომბინატის შენობაში (კახეთის გზატკეცილი). საზღვრები: კახეთის გზატკეცილი რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან გზატკეცილამდე, ერევნის ხაზამდე, ერევნის ხაზის რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით სამრეწველო დაბის გვერდის ავლით სამხრეთ ფერდობებამდე „ზაგოტზერნოსთან“, ამ ფერდობების გაყოლებით, სამგორის ქუჩა, საფერმენტაციო ქარხნისა და სასაფლაოს ზღუდის გაყოლებით ბაზრის ქუჩით ნავთლუღის ხევამდე, ნავთლუღისხევის აყოლებით რკინიგზის საცალფეხო ხიდამდე, კახეთის გზატკეცილზე გასვლით.

საარჩევნო უბანი თბილისის ხორცკომბინატის კლუბის შენობაში (კახეთის გზატკეცილი № 5). საზღვრები: ხორცკომბინატის მთელი ტერიტორიის ყველა სახლი ერევნის რკინიგზის გაყოლებით კახეთის გზატკეცილის გადაკვეთამდე, გზატკეცილის გაყოლებით კახეთის რკინიგზის ხაზზე სადგურ ნავთლუღის რკინიგზელთა ყველა სახლი და ნავთლუღ-II-ის ყველა სახლი გზატკეცილისა და კახეთის რკინიგზის გადაკვეთამდე, დაბა დამპალოს ჩათვლით, ხევის დაყოლებით ერევნის რკინიგზის ლიანდაგამდე.

საარჩევნო უბანი ხორცკომბინატთან არსებული საბავშვო ბაღის შენობაში (კახეთის გზატკეცილი). საზღვრები: სამრეწველო დაბის მთელი ტერიტორია, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქაღალდის ფაბრიკის ზემო საზღვრის დაყოლებით და ხევით ხორცკომბინატის ტერიტორიამდე ერევნის რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებით.

საარჩევნო უბანი ოსტროვსკის სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში. საზღვრები: ყველა კოტეჯი, № 3 დაბის ყველა სახლი და საწარმოს საცხოვრებელი სახლები.

საარჩევნო უბანი დაბა № 4-ის კლუბის შენობაში. საზღვრები: № № 2 და 4 დაბების ყველა სახლი და საცხოვრებელი სახლი № 12.

საარჩევნო უბანი დაბა № 6-ის კლუბის შენობაში. საზღვრები: დაბა № 6-ისა და ავეჯის კომბინატის ყველა სახლი.

საარჩევნო უბანი დაბა № 7-ის კლუბის შენობაში. საზღვრები: დაბების № № 5 და 7-ის ყველა სახლი, ფაბრიკის დამხმარე მეურნეობის დაბა და საქჰიდროენერგომშენის სარემონტო მექანიკური ქარხნის საცხოვრებელი სახლები.

საარჩევნო უბანი აეროპორტის კლუბის შენობაში. საზღვრები: მთელი დაბის ყველა საცხოვრებელი სახლი და ბარაკები.

საარჩევნო უბანი ახალი დაბის (საბარგო დაბა) № 18 სტანდარტულ სახლში. საზღვრები: ახალი დაბის ყველა საცხოვრებელი სახლი, ყველა კერძო სახლი ამ ტერიტორიაზე საქონლის ქუჩის მარცხნივ და ყვარლის ქუჩის ჩრდილოეთით.

საარჩევნო უბანი ქალაქის პირველი საავადმყოფოს შენობაში (წინანდლის ქუჩა № 9, ბიბლიოთეკა).

საარჩევნო უბანი ქალაქის პირველი საავადმყოფოს შენობაში (წინანდლის ქუჩა № 9, ინფექციური განყოფილება).

ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის თვიური

შანხაი, 24 იანვარი. (სინხუა). როგორც ვიეტნამის სახელმწიფო სააგენტო იუწყება, ვიეტნამელი ხალხი აქტიურად მონაწილეობს ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ერთთვიურის მოწყობაში.

დაწესებულებების, ბიბლიოთეკებისა და მაღაზიების შენობებზე ფრიალებს ვიეტნამის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ეროვნული ალმები. ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა მასობრივი მიტინგები. ქუჩებში გამოკრულია ლოზუნგები: „გაუმარჯოს ვიეტნამის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეგობრობას!“

ათეულ ათასობით ადამიანი ესწრება კინოსეანსებსა და კონცერტებს, რომლებსაც აწყობენ კინობრიგადები და მუსიკოსთა და მომღერალთა დასები და რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებისადმი. მოედნებზე ასრულებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სიმღერებსა და ცეკვებს.

სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატი

კიევი, 23 იანვარი. (საკდესი). გუშინ გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები. ექვსი შეხვედრის შედეგი გამოირკვა თამაშის განუახლებლად. ლილიენტალი და ბივშევი დანებდნენ ავერბახს, რაგოზინი — შამკოვიჩს, ყაიმზე შეთანხმდნენ ბანიკ-ლივშინი, ფლორ-სოკოლსკი და ბანიკ-ბივშევი.

ტაიმანოვმა 66-ე სვლაზე მოუგო გელერს. კორჩნოიმ მოუგო ლივშინს, ლისიცინმა — სუეტინს. ბანიკმა ზუსტად გაანაღდა თავისი უპირატესობა პარტიაში ილივიცკისთან. ბივშევმა წააგო ხოლმოვთან და ყაიმით დამთავრა პარტია შამკოვიჩთან. ყაიმით დამთავრდა ბორისენკო-ფლორის პარტია. მე-9 ტურში გამოტოვებული ფურმან-ნეჟმეტდინოვის შეხვედრა ფურმანის გამარჯვებით დამთავრდა.

კიევი, 25 იანვარი. (საკდესი). გუშინ მეთერთმეტე ტურით დაიწყო ჩემპიონატის მეორე ნახევარი. ეს ტური მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა.

პირველი შედეგი აღინიშნა პეტროსიან-ავერბახის პარტიაში. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ 32-ე სვლაზე.

ფლორმა მოუგო ლივშინს. ეს გროსმაისტერ ფლორის პირველი გამარჯვებაა. ბორისენკომ მოუგო ლისიცინს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეათე ტურში გამოტოვებული ფურმან-ლისიცინის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თერთმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: ავერბახი — 8 ქულა, კორჩნოი — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ფურმანი — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პეტროსიანი — 7 ქულა.

ჰოკეი

„დინამოს“ გუნდი (მოსკოვი) სსრ კავშირის 1954 წლის ჩემპიონია

დამთავრდა სსრ კავშირის 1954 წლის პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში „ა“ კლასის გუნდებს შორის. შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ წრედ. მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის 9 უძლიერესი გუნდი.

პირველი ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება შაიბიან ჰოკეიში მოიპოვა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ მოსკოვის გუნდმა. მან 32 შესაძლებელში 30 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ჰოკეისტებმა, რომლებმაც 27 ქულა მოაგროვეს. მესამე ადგილზე გამოვიდა საზოგადოება „ზენიტის“ მოსკოვის გუნდი — 23 ქულა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 იანვარს	ჟ. ბიზე — კარმენი
27 იანვარს	ჯ. ვერდი — ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შვილები ნიკოლოზ, ვალერიან, პლატონ, აკაკი, ნადია, მარგალიტა, ბაბილინა, პოლინა, რაისა, რძლები ნელი, ლუბა, ნინო, სიძეები ვ. დვალაძე, პ. სუთიძე, ა. ენუქიძე, კ. გაბიძაშვილი, ცოლის ძმა მ. ლომთაძე იუწყებიან **ბაგრატ ტარიელის-ძე ბენდიანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-I, 7 ს. გამოსვენება 28-I, 4 ს. კრონშტადტის ქ. № 66.

შვილი ნათელა, მაზლები ეპიფანე, შოთა, ლევან ოჯახებით, მულები ლუბა, ანეტა სიამაშვილები იუწყებიან **სოფიო მარკოზის ასულ სიამაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-I, 5 ს. მელიქიშვილის ქ. № 11.

მეუღლე მატრონა, შვილები მარო, თალიკო, სიძეები იონა მელქაძე, გივი პერანიძე, შვილიშვილები ლიანა, რონა, ომარ, რუსუდან იუწყებიან **ილია ილარიონის-ძე შუღლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-I, 5 ს. ქ. ზესტაფონში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქსახიწყალპროექტის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. კალანდაძეს მისი მამის **არსენ გიორგის-ძე კალანდაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები რაჟდენ, იონა, აგრაფინა, ნინო, ალექსანდრე, რძლები ქეთევან ქომეთიანი, თამარ კელენჯერიძე, ლუბა ხოშტარია, სიძე პეტრე ჯიჯეიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ოლღა დავითის ასულ სირიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-I, 8 ს. გამოსვენება 28-I, 5 ს. ბელინსკის ქ. № 39.

შვილები პოლიკარპე, ვანო, ოლია, შალვა, საშურა, რძლები ნინო, მარიამ, თამარ, სიძეები ვ. სარიშვილი, ვ. ჩარკვიანი, შვილიშვილები ეთერ, ლაურა, ოთარ, ნანა, ლიანა, მარი, მანანა, მარინე, კოტე იუწყებიან **ნიკიფორე ივანეს-ძე კვიცარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-I, 8 ს. გამოსვენება 28-I, 4 ს. ლერმონტოვის ქ. № 19.

დები ვერა, თამარ, ნინო, ძმები ნიკოლოზ, სანდრო ავალიშვილები ოჯახებით იუწყებიან **ქეთევან გიორგის ასულ ავალიშვილი-შალიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-I, 8 ს. გამოსვენება 28-I, 4 ს. ჩელუსკინელების ქ. № 19.

მეუღლე სევერიანე შალიკაშვილი, მული ნადეჟდა ხონელია იუწყებიან **ქეთო გიორგის ასულ ავალიშვილი-შალიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-I, 8 ს. გამოსვენება 28-I, 4 ს. ჩელუსკინელების ქ. № 19.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დილმის № 10 სასწავლებლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ომიაძეს მისი დის **ანტიოფი პარმენის ასულ ომიაძის** გარდაცვალების გამო.

ვარლამ, ნადია, ვენერა, შოთა, არკადი, ეგნია, ანტისო, ნუცა ძაგნიძეები, ალიოშა ფოფხაძე, გრიშა, ოლია, ზურაბ, ლამარა ძაგნიძეები იუწყებიან ბიცოლას და ბებიის **ანა ძაგნიძის** გარდაცვალებას.

შვილი ქეთო, სიძე გური, შვილიშვილები ნუნუ, ლამზირა, ლუიზა, ნანული ანთიძეები იუწყებიან **არსენ გიორგის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-I, 3 ს. ჩოხატაურში.

ელენე და იზა თურმანიძეები, ლუბა, ბაბე, ნოე მთვარაძეები ოჯახებით, გარიკ სტეფანოვი იუწყებიან მაზლის და ბიძის **ალექსანდრე იოსების-ძე თურმანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-I, 4 ს. ბორჯომის ქ. № 9.

აბესალომ, ნატაშა, კლავდია, მირიან, საშა, ლიდა, რაულ, გიული, მედეა, რამაზ ჩხაიძეები, ვიქტორ ლაბარტყავა იუწყებიან ძმისწულისა და ბიძაშვილის **ეკატერინე რომანოზის ასულ ახობაძის** გარდაცვალებას.

დისწულები თამარ, მარიამ, თინა ფერაძეები, მედეა, ნოდარ, ედიშერ ქუთათელაძეები, იასონ, ჰეკო ჰყოიძეები, ძმისწული ლენა სიამაშვილი ოჯახებით იუწყებიან **საშურა ხილოვანის-ძე სიამაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში 26-I, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 36.

ბავშვთა მესამე საავადმყოფოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. შუღლაძე-მელქაძეს მისი მამის **ილია შუღლაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოს — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81 84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00618 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“